საქ. სსრ ... სახელ. ... საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი
3920
F 76 N 370

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლიტერატურული საქართველო

ხუთშაბათი, 1 მაისი 1941 წ. | საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველკვირეული ორგანო | № 18 (177) ფასი 30 კაპ.

## გაუმარჯოს პირველ მაისს — მუშათა კლასის რევოლუციურ ძალთა საბრძოლო დათვალიერებას!
## პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

## პირველი მაისი

1941 წლის პირველ მაისს საერთაშორისო პროლეტარიატი ხვდება მეორე იმპერიალისტური ომის ვითარებაში. ამ ომში უკვე ჩაბმულია მილიარდნახევარზე მეტი ადამიანი. ომის ასპარეზი თანდათან ფართოვდება, იგი ახალ და ახალ ქვეყნებს მოიცავს. ომის ალში ინთქმებიან სახელმწიფოები, ისპობიან ქალაქები და სოფლები. ომის ქარიშხალი მძვინვარებს ევროპაში, აზიაში, აფრიკაში.

ამ ომმა, რომელიც მოაწყეს სხვადასხვა სახელმწიფოების იმპერიალისტებმა, ქვეყნიერების ხელახლად გაყოფისათვის, ნედლეულობის ახალი წყაროებისა და საქონლის გასაღების ახალი ბაზრების მოპოვებისათვის, გამოამჟღავნა კაპიტალიზმის მსოფლიო სისტემის სრული ლპობა და კრიზისი.

ეს ომი მთელი თავისი სიმძიმით განსაკუთრებით მშრომელ მასებს აწვება. ხალხი იღუპება არა მარტო ტყვიებისა და ყუმბარებისაგან, არამედ შიმშილისა და ავადმყოფობისაგან, იგი განიცდის უმუშევრობასა და გაძლიერებულ ექსპლოატაციას. ინგლისის საწარმოებში მუშათა სამუშაო დრო ყოველდღიურად 10-14 საათით განისაზღვრება. მიუხედავად იმისა, რომ ჯარში გაწვეულია რამდენიმე მილიონი ადამიანი, ინგლისში დღესაც არის ერთი მილიონი უმუშევარი; გერმანიაში სახელმწიფო კანონი ნებას იძლევა სამუშაო საათი აყვანილ იქნას დღეში 16 საათამდე. იმის გამო, რომ ჯარში გაწვეულია მრავალი მილიონი მუშა, კაპიტალისტები გერმანიაში ფართოდ სარგებლობენ ქალებისა და ბავშვების შრომით, რომელთა ხელფასი გაცილებით უფრო მცირეა, ვიდრე მამაკაცებისა; განუსაზღვრელი ტანჯვა და უბედურება მოუტანა ომმა საფრანგეთის მშრომელ ხალხს. მილიონობით ლტოლვილები, რომლებმაც დაჰკარგეს სახლკარი, ქონება, ოჯახები, ამრავლებენ უმუშევრების არმიას. მათ შორის გავრცელებულია ხშირი სიკვდილიანობა შიმშილის ნიადაგზე; ამერიკის შეერთებულ შტატებში, მიუხედავად გაძლიერებული სამხედრო მზადებისა, მრეწველობის ომის რელსებზე გადაყვანისა, ათ მილიონ კაცზე მეტი უმუშევარი ითვლება; კაპიტალისტურ ქვეყნებში გავრცელებულია უფასო იძულებითი შრომის ფორმებიც.

ომის სიმკაცრესა და საშინელებას, ხალხის შიმშილსა და უბედურებას კაპიტალისტები იყენებენ თავიანთი პირადი კეთილდღეობისათვის, გამდიდრებისათვის. ეს ომი დიდ მოგებას აძლევს კაპიტალისტურ ექსპლოატატორებს.

მეორე იმპერიალისტურ ომს, ისევე, როგორც პირველ იმპერიალისტურ ომს, მთელი ქვეყნის კაპიტალისტები ხალხისაგან საიდუმლოდ ამზადებდნენ მრავალი წლის განმავლობაში. ძმათა ახალი სასაკლაოს მოწყობაში ბურჟუაზიას ეხმარებოდნენ და ეხმარებიან სოციალ-დემოკრატიული ოპორტუნისტული, რეაქციული ბელადები, რომლებიც სისტემატურად აფერხებდნენ, ებრძოდნენ რევოლუციურ მუშათა მასების მისწრაფებას — შეექმნათ ერთიანი პროლეტარული ფრონტი. სოციალ-დემოკრატიის ბელადები ხელს უშლიდნენ ხალხთა ფართო მასების მობილიზაციას ომის წინააღმდეგ, ისინი ცილისმწამებლურად ილაშქრებდნენ საბჭოთა კავშირისა და მის მიერ წარმოებული სამშვიდობო პოლიტიკის წინააღმდეგ. როდესაც დაიწყო ომი, იმპერიალიზმის სოციალ-დემოკრატიულმა ლაქიებმა პირველმა დაიწყეს ბრძოლა მუშათა კლასის რევოლუციური ორგანიზაციების წინააღმდეგ.

იმ მიზნით, რომ თავიდან მოეშორებინათ ყოველგვარი დაბრკოლება თავიანთი სამხედრო პროგრამის განხორციელების საქმეში, იმპერიალისტებმა გააძლიერეს იერიში მუშათა კლასის მონაპოვარზე, მის დემოკრატიულ უფლებებზე.

კაპიტალისა და რეაქციის შემოტევის წინააღმდეგ, მეორე იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ მშრომელი მასები მხოლოდ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით აწარმოებენ გადამწყვეტ ბრძოლას. მშრომელი ხალხი ყველგან უფრო და უფრო მეტად ირაზმება კომუნისტური პარტიის, კომუნისტური ინტერნაციონალის დროშის ქვეშ.

მთელი მსოფლიოს მშრომელთა გაბედულებისა და ენერგიის გამოულეველ წყაროს მჩაგვრელების, იმპერიალისტების წინააღმდეგ ბრძოლაში წარმოადგენს რწმენა და შეგნება იმისა, რომ არის ქვეყანა, სადაც ძლევამოსილად გაიმარჯვა სოციალიზმმა — დიადი საბჭოთა კავშირი — მთელი მსოფლიოს მშრომელთა იმედი და ნუგეში.

საბჭოთა კავშირის გავლენა და როლი საერთაშორისო ასპარეზზე უკანასკნელი წლების მანძილზე განუსაზღვრელად გაიზარდა. არც ერთი საყურადღებო საკითხი მსოფლიო პოლიტიკისა არ შეიძლება გადაწყვეტილ იქნას საბჭოთა კავშირის საერთაშორისო როლის გაუთვალისწინებლად.

სსრ კავშირის საერთაშორისო როლის ზრდა წარმოადგენს ბრძნულ ლენინურ-სტალინური საგარეო პოლიტიკის ბრწყინვალე გამარჯვების დემონსტრაციას.

1940 წლის პირველი მაისის დღესასწაული საბჭოთა კავშირის მშრომელებთან ერთად პირველად თავისუფლად იდღესასწაულეს დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის ხალხებმა.

1941 წლის პირველი მაისის დღესასწაულს მრავალ მილიონიან საბჭოთა კავშირის მასებთან ერთად პირველად თავისუფლად იზეიმებენ ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, ბესარაბიისა და ჩრდილოეთ ბუკოვინის განთავისუფლებული ხალხები.

1941 წლის პირველ მაისს საბჭოთა კავშირის მშრომელები ხვდებიან ახალი ბრწყინვალე მიღწევებით სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე.

ანხორციელებენ რა საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის დადგენილებებს, საბჭოთა კავშირის მშრომელები ბოლშევიკური პარტიის, დიდი **სტალინის** ხელმძღვანელობით აღწევენ ახალ და ახალ გრანდიოზულ გამარჯვებებს კომუნიზმის მშენებლობის საქმეში. დიდის წარმატებით ხორციელდება მესამე სტალინური ხუთწლედი — ხუთწლედი ჩვენი დიადი სამშობლოს შემდგომი სამეურნეო და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებისა. ჩვენი სახალხო მეურნეობის ყველა დარგი განუხრელი აღმავლობის გზით მიემართება. ჩვენი მრეწველობა ყოველდღიურად ახალ და ახალ მიღწევებს გვაძლევს.

მესამე სტალინურ ხუთწლედში მნიშვნელოვნად გაიზარდა ჩვენი სოციალისტური სოფლის მეურნეობის პროდუქცია. სასოფლო მეურნეობის საწარმოო ძალების მძლავრი აღმავლობა შესაძლებელი გახდა საკოლმეურნეო მშენებლობის გამარჯვებისა და საბჭოთა სახელმწიფოს მიერ მიღებული ღონისძიებების — სასოფლო-სამეურნეო შრომის მექანიზაციის, აგროტექნიკის და სხვათა განხორციელების შედეგად.

საკ. კ. პ. (ბ) XVIII კონფერენციამ ახალი გრანდიოზული ამოცანები დასახა ჩვენი ქვეყნის წინაშე სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანი გადასვლის ამოცანების განხორციელების საქმეში.

სოციალისტური მშენებლობის წლებში ჩვენს ქვეყანაში ჩატარებულია ნამდვილი კულტურული რევოლუცია. განუსაზღვრელად გაიზარდა საბჭოთა ხალხის კულტურული და ტექნიკური განათლების დონე. იმ დროს, როდესაც კაპიტალისტურ ქვეყნებში ომის მეოხებით ნადგურდება კულტურის მრავალი ძეგლი, იხურება სკოლები და უნივერსიტეტები, გონებრივი შრომის მრავალი მუშაკი შიმშილობს, უმუშევარია და იღუპება, ამ დროს საბჭოთა კავშირში მშვიდობიანი ცხოვრების პირობებში, უაღრეს აყვავებას განიცდის მეცნიერება, ხელოვნება, ლიტერატურა. ჩვენს ქვეყანაში კულტურული ფრონტის მუშაკები გარემოცულნი არიან პარტიისა და ხელისუფლების განსაკუთრებული ყურადღებით და მზრუნველობით.

პირველი მაისის დღესასწაულზე საბჭოთა ხალხი ერთხელ კიდევ მოახდენს თავისი განუსაზღვრელი სიყვარულისა და ერთგულების დემონსტრაციას **ლენინ-სტალინის** პარტიისადმი, დიდი **სტალინისადმი**, გამოამჟღავნებს მისწრაფებას, რათა უფრო მეტად აამაღლოს სოციალისტური სამშობლოს სამეურნეო და თავდაცვითი ძლიერება, მზადყოფნას მომავალშიაც განამტკიცოს საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის ინტერნაციონალური კავშირი კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასთან, ურყევ რწმენას, რომ მომავალშიაც მტკიცედ და განუხრელად განაგრძობს გზას კომუნიზმის მაღალი მწვერვალებისაკენ.



## სამაისო მადლობა

**გიორგი კაჭახიძე**

მაისია — სიყვარულის ვარდობა,
სილამაზით გულის კარის გამღები;
რად არ ვუთხრათ ამ ბუნებას მადლობა,
მწვანით კოხტად რომ მოგვირთო ბაღები!
რად არ გვსურდეს ვარდთან ფიქრის განდობა,
ბულბულობას გულში რად არ გავივლებთ!
აღმაფრენის მოტანისთვის მადლობა
რად არ ვუთხრათ ამ ფოთლებს და ყვავილებს!
მაგრამ ბელადს — ხალხის მარად გაზაფხულს,
ჩვენც მადლობით შევყურებთ და ბუნებაც.
ვისით ფოთლებს, ნამს, კვირტებად დასახულს,
ომის ბოლი ნისლად არ ებურება!
ვისი სიბრძნით ქვას სიცოცხლე ეძლევა,
მწვანე ფერი—ცხელ უდაბნოს მდუმარეს,
დევკაცურად ჩვენ სამშობლო გვეზრდება,
დღე აროდეს თვალს არ ახელს მწუხარედ!
ვისით ვხარობთ და გარემო იცინის,
ჩვენს ეზოებს არ მოელის აკლება,
ლამაზები, ცისფერ თვალთა ციმციმით,
გვეძახიან ყვავილების საკრეფად!

## სამშობლოს გაზაფხული

**ვარლამ ქურული**

ტყე შეფოთლილა, ვარდი გაშლილა,
ბრწყინავს ყაყაჩო ველზე, ყანაში,
ცისკარს ციმციმით შემოჰყავს დილა
სილაჟვარდის და მზის ქვეყანაში.

მინდვრად ფარფატებს პეპელა ჭრელი
თითქოს თვრებაო იით, გვირილით,
ჭიუის მერცხალი სივრცეთა მჭრელი,
მთა კვლავ ილვიძებს ირმის ყვირილით.

შროშანს ეხსნება თეთრი თვალები,
ხეს მოტეხილი ტოტი ურჩება,
ლერწამს ამშვენებს აშრიალება,
სხივს — ლივლივი და ტბას — შელურჯება.

დგას გაზაფხული მწვანით მკობელი,
ირგვლივ სითბოა და ყვავილობა.
ბულბულს ბაღი აქვს საგალობელი,
მგოსანს—სტალინის ქვეყნის შვილობა.

გაცოცხლებულა მთელი ბუნება,
კლდესაც სიამის ცრემლნი სდიანო.
მდინარე ნაპირს ედუდუნება:
შენ ბედნიერთა მიწა გქვიანო!

დედაო-მიწავ! ბალახ ცვრიანო,
გულს სხვა მალამოდ შენ ეგულები,
შენს ნაპრალებში ხტომით რბიანო
რძედ აქაფული ნაკადულები.

თითქოს ფირუზი გამდნარა გარეთ
ირგვლივ სხივების ალმასებია;
მზით მოოჭვილი მშობელი მხარე
ბელადის ღიმილს დამსგავსებია.

ქვეყნის ბუნების ფერისცვალებით,
სადაც ზურმუხტობს მთა დანაფერდი—
გარს ევლებიან ბუჩქებს ქალები,
ზღვად გადაშლიათ ჩაის ხავერდი.

შორიდან მოსჩანს ბამბის ნახევად
თეთრი ღრუბელი თითო-ოროლა;
ხმას გაიგონებ, ზეცას ახედავ,
ტკბილად წკრიალებს მაღლა ტოროლა.

მთელი სამშობლო ლხენით გართულა,
ისმის სიმღერა გზებზე, ყანაში;
ვარდის დიდებაც ჟღერს ქართულად
სილაჟვარდის და მზის ქვეყანაში.

## ცხრაასპირველის პირველი მაისი

**გრიგოლ ცეცხლაძე**

„1901 წლის პირველი მაისობა თბილისში მოეწყო ამხანაგ **სტალინის** ინიციატივით და პირადი მონაწილეობით. საპირველმაისო პროკლამაციაში, სხვათა შორის, ეწერა: „ავსწიოთ წითელი დროშა და ვიდღესასწაულოთ ერთად-ერთი ჩვენი დღესასწაული — პირველი მაისი".

იყო მაისის კრიალა დარი,
პირველი დილა ამ საუკუნის.
ამართულ დროშას აჰყვა გუგუნი,
მუშებმა სჭექეს:
„მრისხანე ქარი"...

მეამბოხეთა სიმღერა მჭევრი
თბილისის უბნებს მოედო სწრაფად.
უცებ დაიძრა მშრომელთა ტევრი,
მოედნისაკენ გზა გაიკაფა.

„დღესასწაული გვაქვს ერთად-ერთი,
იგი პირველი მაისი არის!..."
ხალხი, დროშასთან დამდგარი მკერდით,
ისმენდა სიტყვებს ყრმა წინამძღვარის...

„დაიშალენით"!
თვალთა ფეთებით
ჰყვიროდა მტერი და დორბლებს ჰყრიდა.
„ძირს ჯალათები!.."
თავგამეტებით
მუშები სჭექდნენ ყოველი მხრიდან...

გმირობის კვალი არ იკარგება,
იგი გადადის დროიდან დროში,—
ჩვენ თვალწინ გვიდგას, ვით ქანდაკება,
ის მაისობა გაშლილი დროშით.

## სამაისო

**გრიგოლ აბაშიძე**

ხედავ? თოვლის ნატამალი
მთის კალთებზე როგორ დნება...
შერცხვეს ქვეყნად გაზაფხულზე
უკეთესი მოგონება,
ატმის ყვავილს წაუკიდებს
ყანებს ჭიაკოკონებად.

ტყე უეცრად დააბნელა
მუქმა მწვანე ბაირაღმა,
თევზნი ბარში ველარ სძლებენ,
აჰყვებიან აღმა-აღმა,
ცის ლაჟვარდი გაანათა
მტრედისფერმა ყაბალახმა!

სათიბებში ბალახები
მოჰქარგავენ ჭრელად ჭილოფს,
ნახირი და ფრინველთ გუნდი
მოსძებნიან ხის ქვეშ გრილოს,
სხვებს ფოთლები უჩრდილებენ,
ფოთლებს ვინღამ მოუჩრდილოს?

განა დამღლის ან მომაწყენს
გაზაფხულის ამბის მბობა!..
ციდან სხივი წამოსული
ოქროს სვეტად დაისობა —
მე კი არა, ქვას ამღერებს
ამნაირი მაისობა.

ნეტავ ისე ამამღერა,
აღარ დამრჩეს სასიმღერო,
ჩემი ხმისგან გაოცებამ
შეაჩეროს ცაში წერო,
ქარიც შედგეს გაფრენილი,
სასწაული დაიჯეროს.

თევზი უკან შემობრუნდეს,
ტალღამ მხეფი არ აჰყაროს,
მოწყურებულ ირმის ჯოგებს
დაავიწყდეთ მთა და წყარო,
ძლივს რომ სჩანან ბალახები,
მთლად ამოსვლა დააჩქარონ.

და სიმღერაც გამითავდეს,
მზისგან თოვლი როგორც დნება...
შერცხვეს ქვეყნად გაზაფხულზე
უკეთესი მოგონება,
ატმის ყვავილს გააჩაღებს
ყველგან ჭიაკოკონებად.

# ახალგაზრდების სპექტაკლი

**რუსთაველის სახ. თეატრალური ინსტიტუტის მეოთხე კურსის სტუდენტთა ერთი ჯგუფისა; ხელოვნების დამსახ. მოღვაწის კ. პატარიძის კლასი; ასისტ. თ. ბაქრაძე; გ. ერისთავის „ძუნწი" და ვ. გუნიას „ადვოკატთან"**

სადიპლომო სპექტაკლის ანტრაქტის დროს სტუდენტებისაგან გავიგე, რომ მეორე დღეს მათი პედაგოგი და ჩემი მეგობარი ლექციაზე მათ სპექტაკლს გაარჩევდა. მეორე დღეს ჩემს მეგობარს აუდიტორიაში შევყევი და კუთხეში მივჯექი. პედაგოგმა თავისი კურსის მიხედვით სცადა ლექცია დაეწყო, მაგრამ მთელი აუდიტორია „აუჯანყდა", — რა კი სიტყვა მოგვეცი ჩვენს წარმოდგენაზე გვითხარი რამეო.

— კარგი და პატიოსანი, დავიწყოთ...

როგორც კი სთქვა ეს, იმ წამსვე სიჩუმე ჩამოვარდა.

**პედაგოგი:** თუ სარკე არა გაქვს, რომ ჩაიხედო, ქვეყანა ხომ სარკეაო, — უთქვამს ხალხს, და თქვენი წარმატებისა და მარცხის გამომჩენი სარკე მართლაც რომ „ქვეყანა" იყო. ვინ არ იყო თქვენს სპექტაკლზე? პარტიისა და მთავრობის ორგანოების პასუხისმგებელი მუშაკები, ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი მწერლები, მხატვრები, მუსიკოსები, პრესის მუშაკები, სცენისა და კინოს ოსტატები. ერთის სიტყვით, საბჭოთა საზოგადოება არაჩვეულებრივი გულისყურით და ინტერესით ეკიდება თეატრალური ინსტიტუტის მუშაობას, რადგან სწორედ ამ ინსტიტუტის ნაყოფიერ და წარმატებულ მუშაობაზე ბევრით არის დამოკიდებული საბჭოთა ქართული თეატრის ხვალინდელი დღე. ჩვენ, პედაგოგები, და თქვენ, სტუდენტები, ბედნიერად უნდა ვრაცხდეთ თავს, რომ ჩვენი მუშაობა მკაცრი საზოგადოებრივი კონტროლის ქვეშ არის მოქცეული, რომ ინსტიტუტს უკვე გაჩნია ღირსეული კულტურული გარემოცვა და ეხლა თქვენ ჩემზე უკეთ იცით, რომ საზოგადოებრივი აზრის ამ უტყუარ სარკეში გუშინ თქვენი სპექტაკლის ნაკლიც გამოჩნდა და წარმატებაც.

**სტუდენტი:** რას ბრძანებთ, რის ნაკლი, — სცენაზე 7-ჯერ გამოგვიწვიეს, წამდაუწუმ თავის დაკვრით კისრის ძარღვები დაგვაწყდა, მოლოცვებით აგვავსეს, ხელიდან ხელში საკოცნელად გადავდიოდით, მადლობის თქმას ველარ ვასწრებდით და თქვენ კი ნაკლი გამოგვინახეთ?!

**პედაგოგი:** რამდენჯერ მითქვამს და ეხლაც გიმეორებთ, ტაში, ქება და მოწონება გულთან ახლოს არ მიიკაროთ. ძნელია, მაგრამ უნდა მიეჩვიოთ, წარ- [illegible]

ღრმა რწმენით, ქართული საბჭოთა სცენისათვის ახალგაზრდობის აქტიორული ძალა და ნიჭი, სიმართლით წარმოსახვის უნარი და ოსტატობა უმთავრესად მშობლიური დრამატურგიის საუკეთესო ნიმუშებზე გულდადებული მუშაობით და ბეჯითი სწავლით უნდა მომწიფდეს.

**სტუდენტი:** როგორ, შექსპირის, მოლიერის, გოლდონის, ოსტროვსკის პიესები, როგორც სასწავლო მასალა, განა ნაკლები ღირსებისაა, ვიდრე გ. ერისთავის პიესა?

**პედაგოგი:** მაგას ვინ ამბობს, მაგრამ იმისათვის, რომ შეიძლოთ შექსპირის, მოლიერის, გოლდონის და ოსტროვსკის პერსონაჟების სრული ძალით წარმოსახვა, მშობლიურ დრამატურგიაზე მუშაობით უნდა იყოთ მომძლავრებული. სასცენო ხელოვნებაში დედა-ენით რომ იქნებით გაწაფული, ცხადია, უკეთ შესძლებთ მოძმე ხალხებისა და დასავლეთ ევროპის დრამატურგიულ ნაწარმოებთა სწორად წაკითხვასა და მართლად განსახიერებას.

**სტუდენტი:** სასწავლო მასალად, რასაკვირველია, თანამედროვე მწერლების ნაწარმოებთაც გულისხმობთ.

**პედაგოგი:** დიახ, ინსტიტუტის ხელმძღვანელობა და აქტიორული ოსტატობის კათედრა კარგად არის ჩახვედრილი, რომ თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურაზე, საბჭოთა პოეზიის, პროზისა და დრამატურგიის საუკეთესო ნიმუშებზე უნდა გამოიწრთოს ახალგაზრდა მსახიობების მართლად და ლამაზად მეტყველების ოსტატობა, მართლად და აზრიანად წარმოსახვის ხელოვნება, ამიტომაც ინსტიტუტში მხატვრული მეტყველებისა და სასცენო ოსტატობის დარგში კლასიკურ მწერლობასთან ერთად თანამედროვეობის ამსახველი ლიტერატურული მასალაც ჭარბად არის გამოყენებული.

**სტუდენტი:** გ. ერისთავის, ა. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ა. ცაგარელის, დ. კლდიაშვილის პიესებზე მუშაობა მართლაც დიდად წაგვწევს წინ, მაგრამ საინტერესოა, როგორ მოჩანს საზოგადოებრივი აზრის ამსახველ სარკეში ჩვენი ვოდევილი?

**პედაგოგი:** საზოგადოებრივი აზრი ასეთ არჩევანს არ იწონებს და აი რატომ: ყოველი სასწავლო მასალა სტუდენტს იდეურად უნდა აიარაღებდეს, ცხოვრების მოვლენებზე გულისყურს [illegible]

ცეს. ეს გარემოება ცხადჰყო სადიპლომო სპექტაკლისათვის რეჟ. კ. პატარიძის მიერ გ. ერისთავის „ძუნწის" შერჩევამ. სპექტაკლზე ჩვენ მოვედით იმ განწყობით, რომ გვენახა აქტიორული ახალგაზრდობის მიერ ოთხი წლის სწავლით შეთვისებული ცოდნის მოხმარების შნო და უნარი. ესეც ვნახეთ და თანაც ამ დადგმამ აშკარა გახადა, რომ ჩვენი თეატრების მიერ სრულიად უმართებულოდ არის დავიწყებული საქართველოში სცენიური რეალიზმის ფუძემდებლის გიორგი ერისთავის დრამატურგია. — ამგვარად, ჩვენი ინსტიტუტის პატარა სცენა რეპერტუარის საკითხების გაშუქებასა და გადაწყვეტაში ეხმარება ჩვენს სასცენო ხელოვნებას, იმედი ვიქონიოთ, რომ ეს ჩინებული საწყისი ინსტიტუტის ტრადიციად გადაიქცევა.

**სტუდენტი:** ჩვენ გვითხრეს, რომ თქვენ მოგეწონათ სპექტაკლის შემსრულებელთა მეტყველება.

**პედაგოგი:** დიახ, მეტად კმაყოფილი ვარ, რომ რეჟისორმა სპექტაკლს თავიდან ააცილა ქალაქური ჟარგონი. ბევრისათვის ხომ ამის გარეშე წარმოუდგენელი იყო გ. ერისთავის პიესების განსახიერება. შემსრულებლებმა კარგად გაიგეს სპექტაკლის მიზანდასახულება და ჩვენ გახარებული დავრჩით მათი მართლმეტყველებით. გასული საუკუნის ქალაქური და კუთხური კილოების ოდნავი ელფერი ჩინებულად არის გამოყენებული ტიპაჟის ცოცხლად განსახიერებისათვის.

**სტუდენტი:** შემსრულებელთა შესახებ გვითხარით.

**პედაგოგი:** გეტყვით. მთელ რიგ როლებში („ძუნწში" — კარაპეტა და ივანიკა; „ადვოკატთან" — ჩურჩაძე და ზარუბანიძე) ორ-ორი შემსრულებელი ვნახეთ. უნდა აშკარად ითქვას, რომ სტუდენტებმა ვ. გოგეშვილმა, ჯანჯიბუხაშვილმა, გრ. ავალიანმა, ვ. ქაჯაიამ, ნ. ჭილაძემ, ა. ვერულეიშვილმა და ვ. თითბერიძემ ერთი მეორის წაუბაძველად, თვითეულმა თავისებურად, ტრაფარეტის თავიდან აცილებით შესძლეს პიესის ავტორის აზრის, განწყობის, შთანაფიქრის სწორად გაგება და, შესაძლებლობისამებრ, სახეები სიმართლით და დამაჯერებლად წარმოგვისახეს.

მნახველებზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ვახტანგ გოგეშვილის მიერ კარაპეტას როლის თავიდან ბოლომდე ერთი გარკვეული აზრით წარმართულმა, მოსაწონი ზომიერებით და მხატვრული ტაქტით აღსავსე შესრულებამ. ვ. გოგეშვილმა გვიჩვენა უნარი სრულად გამოიყენოს ცოდნის მთელი მარაგი, რომელიც მან ოთხი წლის სწავლით მიიღო. ის უკვე ახერხებს შექმნას მხატვრულად ღირებული სახე და სრულიად დაშორდეს ამ როლის ნატურალისტურ გაგებას, რამაც ერთ დროს გ. ერისთავის პიესის მნიშვნელობას ფასი მოაკლო. ერთი კია, რომ გოგეშვილი განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდება სახის გარეგნულ სურათოვნებას, რაც ზოგჯერ სცენაზედ თავისუფლად თავის დაჭერას უშლის ხელს.

არა ნაკლებ საინტერესოა ჯანჯიბუხაშვილის ამ როლის გულწრფელი და თავისებური შესრულება, მაგრამ მის მიერ წარმოსახული სახის გარეგნულ სურათოვნებას აკლია სისრულე და სიზუსტე და მთლიანად როლიც თანაბარი სიძლიერით არა აქვს დამუშავებული. კარგად ჩაატარა მან სცენა ზანდუკთან და არჩილთან საუბრის დროს სათვლელზე ხელის აყოლებამ რაღაც ახლებური გაგება მისცა და ნათელი მოჰფინა კარაპეტას სიტყვებს.

სადიპლომო სპექტაკლის მნახველები გაახარა ივანიკას როლის შემსრულებელმა გრიგოლ ავალიანმა მეტად გულწრფელი, თბილი, მართალი და სადად მეტყველი განსახიერებით. მან სრულიად ორიგინალურ ტონს მიაგნო და ახლებურად დახატა იმერელი მოსამსახურე. ფანტაზიის სიცხოველე და გამომგონებლობა მის შესრულებას მიმზიდველობასა და სიხალისეს უქმნის. მაგრამ ზოგჯერ როლი იტაცებს და ზომიერების ღალატობს.

დავლიანიძე ივანიკას როლში ახერხებს თავისებური იყოს. ერთ თუ ორ ადგილას ფეხი უსხლტება და როლიდან ამოვარდნილად სჩანს. ეტყობა, როლი სრულად არა აქვს მომარჯვებული.

განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია გადასახიერების ცხოველი ძალით და წარმოსახვის სურათოვანებით ორი ეპიზოდური როლის (მეკუბოვე და მსახური გლეხი) შემსრულებელმა გაბრიელ დემეტრაშვილმა. გულთბილად და მართლად, ზომიერების გრძნობით და მომხიბვლელობის ძალით წარმოგვისახა მან რაჭველი ხელოსანი.

რ. უთურაშვილმა (ხამფერა) და ეკ. დევიძემ (მონავარდისა) და პ. ინწკირველმა (არჩილი) კარგი სცენიური მონაცემები გამოამჟღავნეს. თბილად და გრძნობიერად ჩაატარა რ. უთურაშვილმა არჩილთან შეხვედრის ეპიზოდი. ხალისიანად გაითამაშეს მათ მ. ავალიანთან (ივანიკა) ერთად კარაპეტას მოტყუების სცენა.

რაც შეეხება ვოდევილს, უნდა ითქვას, რომ ამ მეტის-მეტად ძნელ ჟანრში შემსრულებლები წარმოსახვის სიცხოველეს, სადად და მართლად, ზომიერებით განსახიერებას ჩვევებს ამჟღავნებდნენ. დ. ჩიტაია გამოირჩევა კარგი სცენიური მონაცემებით, განცდის გადმოცემის უშუალობით და მომხიბლაობით. ვ. ქაჯაიამ და ნ. ჭილაძემ გვიჩვენეს კომიკური სახეების წარმოსახვის უნარი. ფუქსავატი ახალგაზრდა ქალის როლში დ. წულაძე სურათოვანი წარმოსახვით დამაჯერებლობას აღწევს. დ. კაცაძე (ანჩხლაძისა) ზომიერების გრძნობით თამაშობს და საინტერესო სახეს ჰქმნის. ა. ვერულეიშვილი და ვ. თუთბერიძე ურთიერთისაგან განსხვავებით თავისებურ და დამაჯერებელ კომიკურ სახეებს წარმოგვისახავენ. ს. ქავთარაშვილმა მსახურის სწორად გააზრებული, თავიდან ბოლომდე გამართული, დამაჯერებელი სახე დაგვიხატა. ი. ხუციშვილი ბალთიაშვილის ეპიზოდურ როლში სიცილის აღმძვრელ ძალას იჩენდა. ნ. რთველიაშვილი თავის მეტად ძნელ როლში არ იყო ურიგო და მაყურებელს წარმოდგენას უქმნიდა ადვოკატის ანჩხლი და კაპასი მეუღლის შესახებ.

საერთოდ კი წარმატება უნდა მოგილოცოთ. თქვენის სახით იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ქართულ საბჭოთა სცენას შეემატება ნიჭიერ და შრომას მოყვარე კულტურულ ახალგაზრდა მსახიობთა კიდევ ერთი ახალი მწყობრი.

**დ. ჯანელიძე**



გ. ერისთავის „ძუნწი" — საფინალო სცენა.

## შალვა დადიანის შეხვედრა სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტებთან

6 აპრილს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტმა მედქალაქის კლუბში მოაწყო ორდენოსან მწერლის, საკავშირო უმაღლესი საბჭოს დეპუტატის შალვა დადიანის შეხვედრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებთან და სტუდენტებთან.

შალვა დადიანის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მოხსენებით გამოვიდა სტუდენტი მ. ვადაჭკორია, რომელმაც დაახასიათა შალვა დადიანის თეატრალური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა და აღნიშნა ის დიდი ღვაწლი, რომელიც მას მიუძღვის ქართულ თეატრისა და მისი რეპერტუარის განვითარების საქმეში. მომხსენებელი განსაკუთრებით შეჩერდა შალვა დადიანის მოღვაწეობის ყველაზე უფრო ნაყოფიერ უკანასკნელ წლებზე, როდესაც მწერალმა შექმნა მთელი რიგი მაღალ-მხატვრული ღირსების ნაწარმოებები.

მოხსენების შემდეგ მისასალმებელი სიტყვებით და შალვა დადიანისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსების კითხვით გამოვიდნენ სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტები: მერაბიშვილი, ფ. ბალაშვილი, გ. მარდალეიშვილი, ს. როსტომოვი, ა. გაბრიაძე და სხვები.

დასასრულ, გამოვიდა თვით შალვა დადიანი, რომელმაც გულწრფელი მადლობა გამოუცხადა დამსწრეთ და წაიკითხა ორი თავისი პატარა ნაწარმოები.

სტუდენტები შ. დადიანს დიდის აღფრთოვანებით შეხვდნენ.

## „სერვანტესის ცხოვრება"

ახალგაზრდობისა და საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობამ გამოსცა ნიკოლოზ აგიაშვილის წიგნი „სერვანტესის ცხოვრება".

წიგნის შედგენისას ავტორს გამოუყენებია მდიდარი ლიტერატურა, რომელიც ეხება სერვანტესის ლეგენდურ ცხოვრებას და მისი დროის ესპანეთს.

მრავალი ეპიზოდი ნასესხებია თვით სერვანტესის „დონ კიხოტიდან" და მისი ავტობიოგრაფიული ნოველებიდან.

წიგნში მონტაჟის წესით ჩართულია სხვადასხვა ფაქტი, ესა თუ ის ამბავი გენიალური მწერლის შესახებ, ისე, რომ თხრობას არ დაჰკარგოდა თანმიმდევრობა და არ დარღვევულიყო მთლიანობა.

„სერვანტესის ცხოვრება" შესდგება ოთხი ნაწილისაგან: ლეპანტოს გმირი, ალჟირის ტყვე, მწუხარე სახის რაინდი და სამარის ბჭესთან.

წიგნი შეიცავს 268 გვერდს, და ღირს 12 მანეთად.

# ორი პირველმაისობა

**(მოგონებიდან)**

**დავით სულიაშვილი**

მუშათა მოძრაობა თანდათან იზრდებოდა, სტიქიურობიდან შეგნებულ ორგანიზებულ ბრძოლებში გადადიოდა. რკინიგზელების ცხრაასი წლის აგვისტოს გაფიცვაში ქალაქის მთელი დანარჩენი ქარხნები და ფაბრიკები ჩაებნენ. გაფიცვამ რეპრესიები გამოიწვია, — ბევრი დაიჭირეს და ციხეში ჩასვეს, ბევრი გადაასახლეს, მაგრამ მუშები მაინც ვერ გასტეხეს.

ჩვენ ვიცოდით, რომ მუშათა მასობრივი გამოსვლების ორგანიზატორი — სოსო ჯუღაშვილი თბილისის პროლეტარიატის მოძრაობას წინ უძღოდა. მუშათა უბნებში დაიარებოდა ის და ანთებულ ჩირაღდნებს ისროდა თავის კოცონი გულიდან, რომ მუშების გულში ხანძარი ავარდნილიყო.

მიხეილ დავითაშვილი სემინარიიდან გასული იყო და ისიც მუშათა წრეებში დაიარებოდა.

იმ დღეს სემინარიის წინ პუშკინის ბაღში ვიჯექი. შაბათ საღამო იყო და ლოცვისთვის ზარის დარეკას ველოდი. უცბად მიხეილ დავითაშვილს მოვკარი თვალი, — მისკენ გავექანე.

— შენი ნახვა მინდოდა, —მითხრა.

განაპირა სკამზე დავსხედით.

— ხვალ დემონსტრაცია მოეწყობა, თბილისის პროლეტარიატი ქუჩაზე გამოვა, — ჩურჩულით მითხრა.

გაოცებული, გაკვირვებული თვალებით შევცქეროდი.

— ჰო, პირველმაისობის დემონსტრაცია!

— მერე, ხვალ ხომ ოცდაორი აპრილია?

— თვრამეტი აპრილი ძველი სტილით, ე. ი. პირველი მაისი ახალი სტილით, სამუშაო დღე იყო და დემონსტრაციას ვერ მოვაწყობდით. კონგრესის დადგენილების თანახმად, მახლობელი კვირაა დანიშნული სადემონსტრაციო დღედ... გაიგე? ჰო-და, ხვალ წირვის შემდეგ ბაზრისკენ გამოქანდები. მხოლოდ ჩვენი ჯგუფის ბიჭებს ეტყვი, სხვას არავის!

ბაღში, ხის ტოტებზე, ბეღურები ჟღურტულებდნენ. კალოსავით მრგვალ აუზიდან შადრევანი შხეფად მაღლა ავარდება, თოვლის ნამქერივით ისევ ძირს ეშვება და ნამცეცებად აუზში ცვივდება.

რკინის მოაჯირს მიღმა კუნთებ დაჭიმული ცხენები გაჭირვებით მიათრევენ მგზავრებით სავსე „კონკას". ისმის ხმაური, ძახილი... თბილისის დინჯი და წყნარი ცხოვრება ჩვეულებრივი კალაპოტით მიმდინარეობს.

ხვალ კი, ხვალ ეს ცხოვრება შეინძრევა. როგორც ტბაში ჩავარდნილ მოზვავებულ კლდისაგან ტალღები აქოჩრდებიან, ისე თბილისი ხვალ აქოთქოთდება, განცვიფრდება, ქუჩაზე გამოსულ პროლეტარიატის ძალას რომ დაინახავს — შედრკება.

— ნეტა როგორ ჩაივლის ხვალინდელი დღე! გაიგებს პოლიცია? გამოიყვანენ კაზაკებს?

— ამაღამ მთელ თბილისში მოეფინება საპირველმაისო ფურცლები, რასაკვირველია, გაიგებენ.

— ამ დემონსტრაციის ორგანიზატორი ხომ სოსოა!

— მაშ!

— ჰო-და, უსათუოდ კარგად ჩაივლის, რა ლაპარაკი უნდა!

— ხოლო, ხომ იცი, „ქვალელები" დემონსტრაციის წინააღმდეგ არიან და პროტესტს აცხადებენ!

— რას ამბობ!

— „მესამე დასელების" უმრავლესობა მუშათა მოძრაობას მისდევს „იმდენად, რამდენადაც", „ჯერ კიდევ ადრეა, ჯერ პროლეტარიატი მზად არ არის!"... — გაიძახიან ისინი. „დემონსტრაცია ზარალს მოგვცემს, ბევრს დაიჭერენ, ამით მრავალი სხვა დაფრთხება!" — ამბობენ ისინი. ასეცა თქვეს: „ჩვენ დაგვიჭერენ. თქვენ სად მოგაგნებენ! მაინც არალეგალურად სცხოვრობთ, ჩვენ კი სად წავიდეთო". უნდა ნახო, როგორ დასცინის სოსო მათ სიმხდალეს, მათ არარაობას, მათ ოპორტუნისტობას!... მასობრივი გამოსვლების მეთაური სოსო ხვალ სათავეში ჩაუდგება დემონსტრაციას, დროშის გვერდით დადგება. ეგენი კი თავის სოროში შეძვრებიან...

— მე მგონი მაგათ მხოლოდ სახელი ამოძრავებს, სხვა არაფერი! დასწერენ წერილს და ქვეშ მოაწერენ თავიანთ გვარს... სოსო სახელისათვის კი არ იბრძვის, არამედ მუშათა გამარჯვებისათვის. რამდენი პროკლამაცია და წერილები დაუწერია! მან მიატოვა ყველაფერი პირადი და რევოლუციას შესწირა თავისი ნება, სიყვარული და აღზნებული გული. ეს არის დიადი, ეს არის წარმტაცი! ის რომ მუშასთან მივა, გაამხნევებს, წააქეზებს, ხელს გადაჰხვევს, უბრალოდ, სადად გვერდში მოუჯდება, მის ჭირვარამზე დაუწყებს საუბარს, — მუშები ხედავენ და ერთმანეთს ეტყვიან, — აი ნამდვილი ჩვენი ამხანაგი! მუშა უსათუოდ გრძნობს სოსოს და კიდეც აფასებს მას!

— სწორეა! ნამდვილია! ეგრეა!

— უსათუოდ გაიმარჯვებს სოსო!

— განა შეიძლება პროლეტარიატმა არ გაიმარჯვოს?

— ხვალ თორმეტ საათზე?

— ზარბაზანი ხომ გავარდება! თორმეტ საათზე!..

O

ეს გაგრძელდა სულ ათეულ წუთს. ეს იყო 1901 წელს ოცდაორ აპრილს.

„ოცდაორ აპრილს, ოცდაორ აპრილს
არ დაივიწყებს შთამომავლობა!.."

ასე იწყებოდა ერთი ლექსი „ბრძოლაში".

სულ ათეულ წუთს! მალე კაზაკები მოცვივდნენ ხმლებით და მათრახებით. მაგრამ წითელი დროშა მაინც აფრიალდა სივრცეში...

სემინარიაში წირვის გათავების შემდეგ სირბილით გავიარე ქუჩები. ჩავირბინე ალექსანდრეს ბაღი და, მარჯვნივ რომ შევუხვიე, აუარებელი თავმოყრილი ხალხი დავინახე. ბაზრობაზე მოსული ვაჭარი თუ მყიდველი ერთმანეთში ირევა, მაგრამ ყველა შეატყობს, რომ დღეს შავ ბლუზიანები სჭარბობენ. იქით გავიქეცი. ვიდრე იმ ადგილს მივაღწევდი, ერთ ალაყაფის კარში რომ შევიხედე, დამალული ცხენოსანი კაზაკები დავინახე, — ეს, ალბათ, სხვებმაც შენიშნეს, მაგრამ დემონსტრაციისთვის დანიშნული კუთხე არ შესცვალეს.

მხრების და ზურგების ღობეს ვარღვევ და დემონსტრაციაზე მოსულთა კრებაში ვიჭრები. გაფართოვებული თვალებით აქეთ-იქით ვიცქირები, მაგრამ მას ვერ ვხედავ, ვისაც ვეძებ. არ ვიცი, რა ადგილს ასწევენ დროშას. შეგროვილი ხალხის ზურგებს და მუხლებს უმწეოდ ვაწვები.

უცბად, როგორც მოულოდნელი ქარიშხლის დროს შეტორტმანდებიან ხის ტოტები და ერთ მხარეს გადაიზნიქებიან, ისე იხუვლა ხალხმა და შუა ბაზრისაკენ გაეშურა. თვალი მოვკარი მაღლა აწეულ წითელ დროშას... გაისმა სიმღერა და შეძახილი: „გაუმარჯოს პირველ მაისს!" „გაუმარჯოს სოციალიზმს!" — იძახდნენ შორს. მუხლის კუნთები დავჭიმე და იქით გავიქეცი. იქით მირბიან სხვებიც. სანამ იქ მივალ, ერთი ტალღა დემონსტრანტებისა ჩვენსკენ მორბის... ორი ძალა შებმია ერთმანეთს და იბრძვის. უხეში, მოზღვავებული ძალა კაზაკებისა და პოლიციელებისა ამარცხებს. დემონსტრანტები გარბიან... უცბად ჩემს გვერდით ქუჩა ცარიელდება.... ცხენოსანი კაზაკები, მაღლა აწეული მათრახებით გაიქროლებენ და გაქცეულთა ზურგებზე მტვერს აყენებენ... გარბიან... მეც გავრბივარ...

ისმის ბაზარზე მოტანილი ჭურჭლის მსხვრევა, მაგიდების ჭახუნი, ტლაშუნი, წკრიალი, ჭახა-ჭუხი და სროლა...

აირევიან ერთმანეთში ცხენები და ხალხი, ყვირილი და სტვენა, წყევლა და კრულვა...

ცარიელ მოედანზე ყრიან წაქცეულები, ერთმანეთს შველიან, წამოდგებიან და გარბიან...

პოლიციელები ძალით მიათრევენ დაჭერილ მუშებს. გვერდზე ჩამოკიდებული ხმლები უშნოთ ქანაობენ. შავწერტილებად გაფანტულია მოედანზე ქუდები...

მივრბივარ. ჩემს წინ მირბიან მოკაუჭებული ფეხები...

ვხედავ ფეხები კიბეებზე ეშვებიან და სამიკიტნო სარდაფში ჩარბიან. მეც იქ ჩავედი.

გრძელი, ბნელი თაღებიანი დარბაზი ხალხით ივსება. ღიპიანი მიკიტანი გაშტერებულია. მოქეიფენი წამოიშლებიან და ჩამოსულთ ეკითხებიან:

— რა იყო? რა მოხდა?

— ვაჰ, რა იყო და, ბუნტი იყო!..

— ვაჰ, მერე ვინ ბუნტობს, რა მინდაო?

— სუ დეპოს ბიჭები იყვნენ!..

— მაშა, ბუნტი ჩააგდეს რაღა!

— მერე, რა გვინდაო მაინცა?

— ხემწიფე არ გვინდაო.

— ვაჰ! ვაჰ!

— მაშ, რა გვინდაო?.

— ისე უნდა იყვეს, როგორც ფრანციაშიაო...

— ვაჰ! ვაჰ!

— ბევრი დაიჭირეს, აი...

კაზაკებმა დემონსტრაცია დაშალეს, მაგრამ დემონსტრაცია მაინც მოეწყო! მუშების ძალა ქუჩაში გამოვიდა. ეს იყო პირველი აშკარა შეტაკება, ეს იყო მომავალი ბრძოლის დასაწყისი.

O

შემდეგ წელს პირველ მაისის დემონსტრაცია თბილისში ველარ მოეწყო. თბილისის ჟანდარმერიამ წინა დღეებში მრავალი რევოლუციონერი დააპატიმრა, მოწინავე მუშები ციხეში ჩაყარა. თბილისის კომიტეტის წევრებიც, პროვოკატორ სტაროსტენკოს გამცემლობით. ყველა დაატუსაღეს.

იმ ხანად ქარელში რკინიგზის ხიდს აშენებდნენ. სამუშაოზე მუშები თბილისიდან წაიყვანეს. მათში ბევრი შეგნებული და პარტიელი იქაც ეწეოდა რევოლუციურ მუშაობას. იმ წელს მათ პირველი მაისის დღესასწაულობა გადაეწყვიტათ.

კაცი გამოგზავნეს თბილისში და დემონსტრაციაზე დასასწრებლად მე და გიორგი ელისაბედაშვილი წაგვიყვანეს.

ქარელში ჩამოვხტით. ლიანდაგს გავყევით. ხიდი გავიარეთ და გვერდზე გადავუხვიეთ. ტყეში შევედით. ფარული დემონსტრაცია აქ იყო დანიშნული.

მუხის დიდრონი ტოტები დიდი გველებივით ერთმანეთზე გადახლართულან, ჩრდილით დაუფარავთ მიდამო, მაგრამ მზის სხივები მაინც კრთიან ფოთლებში და კალოსავით მოწმენდილ მიწაზე თეთრ ყვავილებად ციმციმებენ...

უცბად თვალი მოვკარით, მწვანე ტოტებში წითელი დროშა აფრიალდა. გულიც ატოკდა... გავრბივართ... მაღლა ცაზე აზიდული წითელი ატლასი, ვარაყიანი ასოებით და მარქსის სურათით ჩვენ მხედველობას იტაცებს... მწვანე ფოთლებში ირხევა და ისე ბზინავს, როგორც ამომავალი მზე მთის მწვერვალზე.

მივუახლოვდით. დროშის გარშემო სუფთა მინდორზე სუფრაა გაშლილი. მივედით თუ არა, შევძახეთ:

— გაუმარჯოს პირველ მაისს! გაუმარჯოს სოციალიზმს!

— გაუმარჯოს, გაუმარჯოს!—შემოგვძახეს.

აზიდული დროშა ლაპლაპებს.

— აბა, დავსხდეთ! — ამბობს ერთი მუშა.

ჩვენც დროშის ირგვლივ ვსხდებით. სუფრაზე აწყვია მწვანილი, ნაზუქები, ყველი, ძეხვები და ღვინის ბოთლები.

— შემთხვევით რომ თავს წამოგვადგეს ვინმე, — ვითომ არიფანაზე ვართ მოსული.

თბილისელ მუშებთან ერთად აქ არიან ადგილობრივი მუშები, სოფლელი გლეხები და დღიური მუშები. ერთმანეთში არეულია მაზარები და მოკლე შავი პალტოები, ჩექმები, ქალამნები, ფიჯაკები და შავი ხალათები...

წითელი დროშა ნიავისაგან შრიალებს, მზის სხივებზე ხან „პროლეტარებო" და ხან „შეერთდით" აბზინდება.

რომ დავსხედით, მსხვილტანიან მუხების მიღმა, მთის ძირში, ჩამღნარ ტყვიასავით მტკვარი გამოჩნდა. იქით — მინდორი, ყანები და ცის კიდური. შორს, გორაკის კალთაზე, ჩარჩოში ჩასმულ სურათივით კრთოდა ქართლის სოფელი.

სიჩუმეა და ეს სიჩუმე უნდა დაირღვეს. უნდა ვილაპარაკოთ... გული ტოკავს... პირველად ელისაბედაშვილი ამბობს სიტყვას. მარჯვენა ხელში ღვინით სავსე ჭიქა უჭირავს. მარცხენას რომ გაშლის, ჭიქიდან ღვინის წვეთები ჩამოდის და მის ფიჯაკის კალთებს ეცემა.

მუხლებმოკეცილი მუშები გაფართოვებული თვალებით ისმენენ მის სიტყვას.

სიტყვა თავდება და სივრცეს მოიცავს არეული ხმები: „გაუმარჯოს პირველ მაისს!"

ჩემი სიტყვის შემდეგ ილაპარაკა ერთმა თბილისელმა, დეპოს მუშამ. დაილია თითო ჭიქა ღვინო. ვიღაცამ დაიწყო:

„ზურგი ვაქციოთ ძველ ადათ-წესებს,
ჩამოვიბერტყოთ ფეხზე ვით მტვერი!".

ახლა მოძრაობა გვინდა. ბევრი დგება. დროშას უახლოვდებიან. ვიღაცა მის ტარს მიწიდან აძრობს. ტოტებში გაატარებს. ჩვენც უკან მივყვებით და მტკვრის პირად გავრბივართ.

შორიდან მომცურავ ტივს ვამჩნევთ. მეტივეები გაოცებით გვიმზერენ. ჩვენ ნაპირს ვუახლოვდებით და მეტივეებს ვუძახით — „გაუმარჯოს პირველ მაისს!"

ტივი მისრიალებს. თეთრი ტალღები აქოჩრდებიან და ჩანჩქერის ქვევით წერტილებად მოსჩანს ორი განცვიფრებული მეტივე...

უცბად მატარებლის ყივილი გვესმის და თითქოს ელექტროს ძალამ დაგვიარა კუნთებში, ყველა შევხტით, მივტრიალდით და იქით გავიქეცით, საიდანაც ორთქმავლის ყივილი გვესმოდა.

ლიანდაგის გვერდით გავმწკრივდით. დროშა მაღლა ავწიეთ და ვხედავთ მატარებლის ფანჯრებიდან გამოყოფილ განცვიფრებულ სახეებს. ზოგი ხელს გვიქნევს. ერთმანეთზე გადაბმული ვაგონები მირბიან... ჩვენ კი ვხტით და ვიძახით: „გაუმარჯოს პირველ მაისს!... გაუმარჯოს სოციალიზმს!".

— ახლა კი დავიშალოთ! — სთქვა ერთმა მაღალმა წვერიანმა მუშამ და ჩვენც ერთმანეთს დავცილდით...

ასე ჩავატარეთ ქარელში პირველი მაისი.

მუშათა მოძრაობა იზრდებოდა, ფართოვდებოდა. მომავალ შეტაკებისთვის ემზადებოდა. ჩვენ გვინდოდა ამ ბრძოლაში ჩვენი წვლილი შეგვეტანა. გული გვქონდა დიდი, აგზნებული და ცეცხლმოდებული. და იქ, სადაც გულია და რწმენა განმტკიცებული, —იქ მთებიც შეინძრევიან...

მუშათა უბნებში ანთებულ ჩირაღდნებს ვისროდით და პატარა კოცონებს ვანთებდით.

ახლოვდებოდა ცხრაასხუთი წელი, პროლოგი ოქტომბრის დიდი რევოლუციისა...

# ხაჩატურ აბოვიანი

პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი

აბოვიანი ხაჩატურ ჰარუთიუნის-ძე (ქრისტეფორე არტემის-ძე) ახალი სომხური ლიტერატურის ე. წ. „აღმოსავლური" ნაკადის ფუძემდებელია, მწერალი-ბელეტრისტი, პოეტი, დიდაქტიკოს-მორალისტი, პედაგოგი, ფილოლოგი, პირველი მთასვლელი ამიერკავკასიაში და სხვ.

ხ. აბოვიანი დაიბადა 1805 წელს სოფელ ქანაქერს, ქ. ერევნის მახლობლად, გლეხის ოჯახში. პირველდაწყებითი სწავლა, მესროპ თაღიათიანთან ერთად, ეჩმიაწინის სამონასტრო სკოლაში მიიღო. 1820 წ. იგი თბილისში გადმოვიდა, 1824 წ. გახსნილ ნერსესის სასულიერო სემინარიაში მოეწყო, სადაც იყვნენ მისი ამხანაგები სტეფანე ნაზარიანცი (შემდეგში პროფესორი, მოსკოვის სომხ. ჟურნ. „ჰიუსისაფაილ"-ის ერთი რედაქტორთაგანი) და გალუსტ შერმაზან-ვარდანიანი (1865 წ. თბილისის ამქართა ამბოხების ერთი მოწინააღმდეგეთაგანი). სემინარიის დამთავრების შემდეგ, 1826 წ., მას ვენეციაში ეწადა წასვლა სწავლა-განათლების განსაგრძობად, მაგრამ ვერ წავიდა და იძულებული გახდა ეჩმიაწინში დაბრუნებულიყო და ეკისრა სომხეთა კათალიკოზის თარჯიმანისა და მდივან-მწიგნობარის თანამდებობა.

ამასობაში (1826-1828 წწ.) რუსეთ-სპარსეთის ომიც დაიწყო, რომლის შედეგად, თურქმანჩაიში დადებული საზავო ხელშეკრულების საფუძველზე, ერევნისა და ნახიჯევანის სახანოები რუსეთის იმპერიას შეუერთეს და მათგან ე. წ. „სომხეთის ოლქი" შეადგინეს, რომელსაც ერთხანს პოეტი ალ. ჭავჭავაძე განაგებდა.

1829 წელს ქ. ერევანში ავტორის თანადასწრებით პირველად გათამაშებულ იქნა ალ. გრიბოედოვის უკვდავი კომედია „ვაი ჭკუისაგან". იმავე ხანებში (1829 წ.) არარატზე ასასვლელად სომხეთში ჩავიდა დორპატის (დღეს ტარტუს) უნივერსიტეტის პროფესორი ფრიდრიხ პაროტი. ხ. აბოვიანი, როგორც ენების მცოდნე და იმ დროისათვის დიდად განათლებული კაცი, კათალიკოზმა ხსენებული პაროტის თანმხლებლად დანიშნა. პროფ. პაროტი პირველი იყო, რომელიც ხ. აბოვიანისა და რამდენიმე გამყოლი ქურთის თანხლებით, არარატის მწვერვალზე ავიდა.

იმავე ხანებში გაეცნო ხ. აბოვიანი ქურთების ყოფა-ცხოვრებასა და ზნე-ჩვეულებებს და შეუდგა ქურთული ენის შესწავლას. ამ დროს დაწერა მან ორი წერილი რუსულ ენაზე: „არარატზე ასვლა" და „ქურთები. მათი წარმოშობა მიდიელებისაგან". ეს წერილები გაზეთ „კავკაზში" დაიბეჭდა, პირველი ავტორის სიცოცხლეში, 1847 წელს, ხოლო მეორე მისი უგზო-უკვლოდ დაკარგვის შემდეგ, 1848 წელს.

პროფ. ფ. პაროტთან ერთად არარატზე ასვლამ საშუალება მისცა ხ. აბოვიანს ახლო გასცნობოდა ევროპელ მეცნიერს, რომლის წინადადებითაც აბოვიანს ნება დაერთო დორპატში წასვლისა უმაღლესი სწავლა-განათლების მისაღებად. 1830 წ. აბოვიანი პეტერბურგს მიდის, ხოლო იქიდან დორპატში, სადაც რჩება 1836 წლამდე და სადაც სწავლობს გერმანულ ენას და ეცნობა მდიდარ გერმანულ ლიტერატურას. სწორედ ამ დროიდან იწყებს იგი გერმანელი კლასიკოსების ნაწარმოებთა თარგმნას სომხურად.

დორპატის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ხ. აბოვიანი ბრუნდება თავის სამშობლოში — სომხეთში, სადაც მას გულგრილად ხვდებიან. ამის მიზეზი იყო, ჯერ ერთი, ის, რომ მან თავისი მთასვლელობით წაბილწა „ნაკურთხი" არარატი, სადაც „ნოეს კიდობანი" ელანდებოდათ, და მეორეც — იგი ევროპული სწავლა-განათლების შემომტანი უნდა გამხდარიყო ბნელეთის მოციქულთა მიერ დამონებულს და ჩამორჩენილ სამშობლოში. ხ. აბოვიანი მოშორდა სომხეთს და მოეწყო თბილისში. 1837 წ. იგი დაინიშნა თბილისის სამაზრო სახელმწიფო სასწავლებლის ინსპექტორად. ამ თანამდებობაზე მან 1844 წლამდე დაჰყო. ამავე სასწავლებელში მოღვაწეობდა აზერბეიჯანელი მწერალი მირზა-ფატალი ახუნდოვი (1840 წლამდე), ხოლო მისი წასვლის შემდეგ აზერბეიჯანელივე პოეტი მირზა-შაფი. სამაზრო სასწავლებელში სამსახურის პარალელურად მან მოახერხა თბილისში კერძო პანსიონის გახსნა, იმ მიზნით, რომ მშობლიურ (სომხურ) ენაზე აღეზარდა სომეხ პედაგოგთა კადრები.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ხ. აბოვიანის ნიჭი გაიფურჩქნა, გაიშალა და განვითარდა თბილისში ცხოვრების პერიოდში, 1837 წლიდან. თბილისში სწერს იგი 1841 წ. თავის მთავარ ნაწარმოებს „სომხეთის ჭრილობანი — გოდება პატრიოტისა", აგრეთვე იმ ნაწარმოებებს, რომელთა ქარგაც თბილისის ცხოვრებიდან არის აღებული. ასეთებია, მაგალითად, მოთხრობები „თათრის ქალი" და „ოსანა", პიესა „ფეოდორა ანუ მშობლიური სიყვარული" და სხვ. აქვე შეადგინა (1841 წ.) „უქმი დროის გასართობი", რომელიც იგავ-არაკებისა და ლექსების კრებულს (ქრესტომათიას) წარმოადგენს.

ხ. აბოვიანის მიერ თბილისში დაწერილ ნაწარმოებთაგან აღსანიშნავია არა მარტო ისინი, რომლებზედაც თბილისის ცხოვრების ზეგავლენა მოსჩანს („თათრის ქალი" და „ოსანა"), არამედ ისინიც, რომლებიც მთლად თბილისს მიეძღვნენ, მაგალითად, „უკანასკნელი გამოთხოვება ძლევამოსილი მეფის ირაკლისა" (პატარა მოთხრობა და 4-ტაეპოვანი ლექსი, დაწერილი თბილისის 1795 წლის აოხრების გამო) და „მთაწმინდის დღესასწაულის გამო, 1840 წელს" (17-ტაეპოვანი ლექსი).

გარდა ამისა, აბოვიანის კალამს ეკუთვნის დიდი თხზულება „ტიგრანის ისტორია ანუ ზნეობრივი დარიგება ბავშვებს", რამდენიმე წვრილი მოთხრობა და ამბავი, ლექსები და სახელმძღვანელო სომხური ენისა სათაურით „ნალაშავილ" (წინაკვალი).

1844 წ. აბოვიანი გამოეთხოვა თბილისს და გადავიდა ერევანში იქაური სამაზრო სასწავლებლის ინსპექტორის თანამდებობაზე. იმავე 1844 წ. მან მონაწილეობა მიიღო გეოლოგ აბიხის ექსპედიციაში არარატზე, რომელზედაც მეორედ მოუხდა ასვლა და შემოწმება პირველი ექსპედიციის დოკუმენტაციისა. სამწუხაროდ, ერევნის სამაზრო სასწავლებელში სამსახურის დროს აბოვიანს მრავალი უსიამოვნება და შეტაკება მოუხდა როგორც რუს ჩინოვნიკებთან, ისე სომეხ სამღვდელოებასთანაც, რამაც იძულებული გახადა მიეტოვებინა ხსენებული სასწავლებელი. 1848 წლის 9 მარტს გაანთავისუფლეს იგი თანამდებობიდან და შეუდგა კიდეც საქმეების გადაცემას თავისი შემცვლელისათვის, რომ 2 აპრილს (ძვ. სტილით) უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

ხ. აბოვიანის უგზო-უკვლოდ დაკარგვის შესახებ მრავალი ვერსია არსებობს: თვითმკვლელობა იდეური უილაჯობის გამო, მკვლელობა რომანიულ ნიადაგზე თითქოს სომეხ-თათართა „შუღლის" ნიადაგზე, ციმბირში გადასახლება მეფის მთავრობის მიერ, გაპარვა ოსმალეთში. ამ ვერსიებიდან დასაშვებია მხოლოდ პირველი, ე. ი. თვითმკვლელობა.

ხ. აბოვიანის უკანასკნელი წუთები ძალიან წააგავს ივანე მაჩაბლის ტრაგედიას, თუმცა ქრონოლოგიურად ისინი დაშორებული არიან ერთმანეთს. სამაგიეროდ, აბოვიანის თანამედროვე იყო ნიკოლოზ ბარათაშვილი, და ეს ორი მწერალი იდეურად ახლოს იდგნენ ერთმანეთთან: ნ. ბარათაშვილი 1839 წ. აქვეყნებს პოემას „ბედი ქართლისა", ხოლო აბოვიანი 1841 წ. სწერს რომანს „სომხეთის ჭრილობანი — გოდება პატრიოტისა", რომლებიც ერთსა და იმავე სევდა-მწუხარებას გამოხატავენ: ერთი — საქართველოს, მეორე — სომხეთის ფონზე. 1833-36 წწ. ნ. ბარათაშვილი სწერს ლექსს „შემოღამება მთაწმინდაზე", 1840 წ. აბოვიანი სწერს აგრეთვე ლექსს „მთაწმინდის დღესასწაულის გამო". 1842 წ. ნ. ბარათაშვილი სწერს ლექსს „საფლავი მეფის ირაკლისა", თითქმის იმავე ხანებში სწერს აბოვიანი პროზაულ-პოეტურ ნაწარმოებს „უკანასკნელი გამოთხოვება ძლევამოსილი მეფის ირაკლისა". თითქმის ერთსა და იმავე დროს გამოემშვიდობნენ თბილისს ბარათაშვილი (1845) და აბოვიანი (1844) და უკან აღარ დაბრუნებულან.

ხ. აბოვიანი პირველი სომეხი მწერალია, რომელმაც სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა ძველს სქოლასტიკურ ლიტერატურას და მის ტრადიციებს და გაბედულად წამოაყენა ლოზუნგი: „ლიტერატურა ხალხისათვის". ამიტომ გასაგებია, რატომ უნდა უკუეგდო მას ძველი სალიტერატურო ენა (გრაბარი) და საფუძველი ჩაეყარა ახლისათვის (აშხარაბარისათვის), რომელიც არსებითად ერევნის დიალექტზე გამართა და განვითარდა. აბოვიანი პირველი სომეხი მოღვაწე იყო, რომელმაც თავისი მთავარი თხზულებებისათვის გაბედულად გამოიყენა სამშობლო სოფლის ქანაქერის გლეხობის ცოცხალი მეტყველება. სამწუხაროდ, ხ. აბოვიანი თავის სიცოცხლეში ვერ ეღირსა თავის ნაწარმოებთა გამოქვეყნებას.

ხაჩატურ აბოვიანის ღვაწლის ჯეროვნად შეფასება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს მოხდა. დიდი მწერლის სახელი ეწოდა სომხეთის დედაქალაქის ერევნის ერთ-ერთ მთავარ და ლამაზ ქუჩას. იქვეა აღმართული მისი ძეგლი. მწერალთა მუზეუმში ცალკე განყოფილება აქვს მიძღვნილი აბოვიანს, ხოლო მწერლის სამშობლო სოფელ ქანაქერში მისი სახლი მუზეუმად არის გადაქცეული. სომხეთის სახელმწიფო გამომცემლობა ბეჭდავს ხ. აბოვიანის ნაწარმოებებს 3 ტომად, რომელთაგან ორი უკვე გამოქვეყნებულია. მეცნიერებათა აკადემიის სომხეთის ფილიალმა გამოსცა ხ. აბოვიანის არქივი ერთ ტომად. პარალელურად იბეჭდება და ქვეყნდება მწერლის ესა თუ ის ნაწარმოები მასობრივი მკითხველისათვის.

# თეატრი

## ესტრადის მსახიობთა მეორე საკავშირო კონკურსი

სსრკ ხელოვნების საქმეთა კომიტეტმა გამოაცხადა ესტრადის მსახიობთა მეორე საკავშირო კონკურსი, რომელშიაც მონაწილეობა შეუძლიანთ მიიღონ ესტრადის პროფესიონალურმა მსახიობებმა (35 წლის ჰასაკამდე) მხატვრული კითხვის, ვოკალურ, საცეკვაო და ორგინალური ჟანრის საესტრადო ხელოვნების დარგებში.

კონკურსი ჩატარებული იქნება 3 ტურად, აქედან პირველი ტური — ადგილობრივ, ხოლო მეორე და მესამე ტური—მოსკოვში.

კონკურსის მონაწილეთათვის დაწესებულია 5 პრემია: პირველი 8.000 მანეთი, მეორე—6.000 მან., მესამე — 4.000 მან., მეოთხე—3.000 მან. და მეხუთე — 2.000 მან.

საქართველოში, ხელოვნების სამმართველოს დადგენილებით, უკვე დაიწყო მუშაობა პირველი ტურის ჩასატარებლად, რომელიც თბილისში მოეწყობა.

## რუსთაველის თეატრი

ლენინის ორდენოსანი რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის მთელი კოლექტივი მუშაობს ახალგაზრდა დრამატურგის ვ. დარასელის პიესა „კიკვიძე"-ზე. პიესას სდგამს სსრკ სახ. არტ. ორდენოსანი აკ. ვასაძე, მხატვარი დ. თავაძე, მუსიკა — ხელ. დამს. მოღვაწის ორდენოსანი ი. ტუსკიასი, ქორეოგრაფი—დ. მაჭავარიანი.

მთავარ როლებს შეასრულებენ: სსრკ სახ. არტისტები აკ. ვასაძე და აკ. ხორავა, სახ. არტ. ორდენოსანი გ. დავითაშვილი, სახ. არტ. ორდენოსანი დ. მჟავია, დამს. არტ. ნ. დავითაშვილი, ორდენოსანი რ. ბერიძე და სხვანი.

## მარჯანიშვილის სახელობის თეატრი

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატიული თეატრი დასადგმელად ამზადებს ვ. ჰიუგოს „რუი ბლაზს". პიესას სდგამს ხელ. დამს. მოღვაწე რეჟ. ვ. ქუშიტაშვილი, მხატვარი — ორდენოსანი ე. ახვლედიანი, მუსიკა—პროფ. კ. მეღვინეთუხუცესისა.

მთავარ როლებს შეასრულებენ: დამს. არტ. ორდენოსანი ვ. გოძიაშვილი, ს. ზაქარიაძე, დამს. არტ. ვერიკო ანჯაფარიძე, თ. ჩარკვიანი, ც. თაყაიშვილი, ც. წუწუნავა, გ. შავგულიძე და გ. კოსტავა. საეპიზოდო როლებში გამოვლენ ალ. გომელაური და მ. დავითაშვილი.

## მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი

მოზარდ მაყურებელთა ქართულმა თეატრმა დასადგმელად მოამზადა და საპირველმაისოდ თავის მაყურებელს აჩვენებს მ. კუჭავას პიესა „ცისფერ ხალიჩას" (უზბეკური ზღაპარი). პიესას სდგამს ახალგაზრდა დიპლომანტი რეჟისორი თ. ჟორდანია. მხატვარი დ. თავაძე, მუსიკა კურტიდისა, ქორეოგრაფი დ. მაჭავარიანი.

მთავარ როლებს შეასრულებენ: კუპრაშვილი, თვალიაშვილი, დამს. არტ. ნ. გვარამე, კაჭკაჭიშვილი, კობახიძე და სხვანი.

## მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრი

მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრი დასადგმელად ამზადებს ლადიჩინის და ნიჩაევის პიესას „ვასილისა მშვენიერს". დამდგმელი რეჟ. ა. ო. გინზბურგი, მხატვარი ი. შტემბერგი, მუსიკა პ. ბეიერისა.

პარალელურად მიმდინარეობს მუშაობა შჩეგლოვის პიესის „გაქცევის" დასადგმელად, რომლის სიუჟეტადაც აღებულია სტალინის ციმბირიდან გაქცევის ეპიზოდი. პიესაზე მუშაობენ თეატრის ხელმძღვანელი ხელ. დამს. მოღვაწე ნ. ი. მარშაკი, მხატვარი ი. შტემბერგი და კომპ. პ. ბეიერი.

## თოჯინების თეატრების დათვალიერება

ხელოვნების საქმეთა საკავშირო კომიტეტის დადგენილებით ჩატარდება თოჯინების თეატრების დათვალიერება. სექტემბერში მოეწყობა საოლქო დათვალიერება, ოქტომბერში კი შემოწმება ჩატარდება რესპუბლიკებში.

ამ დათვალიერების დროს შერჩეული თოჯინების საუკეთესო თეატრები თავიანთ სპექტაკლებს უჩვენებენ მოსკოვში მიმდინარე წლის 20 ნოემბრიდან 5 დეკემბრამდე.

დათვალიერების დამთავრების შემდეგ მოეწყობა საკავშირო შემოქმედებითი კონფერენცია თოჯინების თეატრების მუშაობის საკითხებზე.

# „განთიადის წინ"

ლავროსი კალანდაძე

გარკვეული დროისა და გარემოს ადამიანთა ძირითადი ხასიათების მიგნება, მათი კერძოობითი ნიშანდობლივი თვისებების მოხაზვა მხატვრის პირველი გამარჯვებაა. რასაკვირველია, ამის შემდეგაც მწერლის წინაშე არანაკლებ რთული ამოცანა დგას: ხასიათების გაცოცხლება, მათი დახატვა, სიუჟეტის თავისებური განვითარება, მხატვრული კვანძებისა და სიტუაციების შექმნა, ნაწარმოების კომპოზიციურად გამართვა და სხვ.

როგორც ჩვენი მკითხველისთვის ცნობილია, ბელეტრისტმა ელიზბარ პოლუმორდვინოვმა მთელ რიგ თავის ადრინდელ ნაწარმოებებში სცადა ადამიანთა ხასიათებში განესახიერებინა ჩვენი ცხოვრების გარკვეული დრო და გარემო, სცადა მოეცა სამოქალაქო ომის წლები, საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლა საქართველოს ერთს გარკვეულ კუთხეში — რაჭა-ლეჩხუმში. წინანდელ მოთხრობებთან შედარებით ამავე თემის უფრო გაღრმავებულ და მომწიფებულ დამუშავებას წარმოადგენს მისი ახლახან გამოქვეყნებული რომანი „განთიადის წინ". რომანის არეს წარმოადგენს 1917-1920 წლების დროინდელი რაჭა-ლეჩხუმის ცხოვრება. ამ გარემოშია მოხაზული ადამიანთა ძირითადი ხასიათები. აი ივანე ჩხეტიანი — ალალი ღარიბი გლეხი, გამრჯე, მშრომელი, საუკუნებრივი სოციალური უსამართლობის წინაშე ქედმოხრილი. ის ძღვნებითა და საჩუქრებით ცდილობს მემამულის გულის მოგებას, სალალო მიწის აღებას. „უმწეო და ულაჯო" „წყლიანი თვალებით" შესცქერის თავის მჩაგვრელსა და აბუჩად აგდებს, თუმცა ერთხანს რევოლუციური აჯანყების წარმატება საკმაო გაბედულებასა და სითამამეს აძლევს მას. სხვა ყალიბის გლეხია სამსონ ჯოხაძე, გაიძვერა, სოფლის უკულმართი ცხოვრების კვანძების გამხლართავი თავის სასარგებლოდ. იგი შემპარავი ფოცხვერია, რომელიც სიბნელიდან აკეთებს ნახტომებს და ყელში სწვდება, ახრჩობს ღონეწართმეულ ადამიანს. გლეხობის ეპიზოდური პერსონაჟებიდან აღსანიშნავია თედორე, სტიქიური პროტესტანტი სოციალური უკულმართობის წინააღმდეგ, მაგრამ უკულმართობასთან ბრძოლის საშუალებათა არჩევაში ასევე სტიქიურ-ინდივიდუალისტური და სულმოკლეა. ზორბა ვაჟკაცი ათანასე მეშველიანი, სიღარიბით წელში მოხრილი, იმედმოცემულია მეფის ტახტის დამხობით, მაგრამ ცხოვრებამ იმედი ვერ გაუმართლა, სურვილების დაოკება ვერ შესძლო... და ტყის ჩეხვის დროს მოჰკლეს მენშევიკური მთავრობის დამქაშებმა. საჩინო ჩიქოვანი ტრადიციული მემამულეა, ძველი, როგორც მისი მამაპაპისეული მუხის სახლი, გლეხების დამწიოკებელი, სოფლის სულთამხუთავი. გაშმაგებით ჩაბღაუჭებია იგი „თავის მამულს, გვარიშვილობას, შთამომავლობას, მემკვიდრეობას, მირონცხებულ მეფეთაგან ნაბოძებ წყალობას". მისი ნაშიერი მერაბი კი უსაქმო, ფუქსავატი, გათავხედებული, მოქეიფე და უდარდელი ახალგაზრდა კაცია; „მისი ერთად-ერთი საყვარელი საქმე — ეს გლეხების გამათრახება იყო. ეს მას საუკეთესო გასართობად მიაჩნდა". მერაბის მონათესავე ხასიათია ვალოდია სულაძე, წინათ ნებიერი და მოქეიფე გიმნაზიელი, შემდეგ მეფის არმიის ოფიცერი, „დაურიდებელი და ჯიუტი, პირდაპირი და უაზრობამდე თამამი", ახლა მენშევიკური მთავრობის სამხედრო - ადმინისტრატიული ხროვის საიმედო ძალა, რევოლუციური მოძრაობის მოსისხლე მტერი.

ერთის მხრივ, გლეხობისა და მეორეს მხრივ — სოფლის ბობოლების ასეთი ხასიათები ქართულ ლიტერატურაში საკმაოდ არის დამუშავებული. ამ მხრივ ე. პოლუმორდვინოვის რომანს სიახლე არ მოაქვს.

სულ სხვაა მიხა ჩხეტიანი, აკაკი ოჩიგავა და მათი თანამებრძოლნი, რომელთა ფრაგმენტალურ სახეებს წარმოადგენენ აგრეთვე ექვთიმე, მჭედელი შანიძე და სხვანი. ესენი ცხოვრების წყვდიადში შეჭრილი ათინათები არიან, რომელთაც განთიადი უნდა მოიყვანონ.

მიხა ჩხეტიანი რომანის ცენტრალური ფიგურაა. ის თითქოს მარულაში გაჯიბრებით იწყებს ბრძოლას ძველი ცხოვრების განებივრებულ მესვეურებთან. „ღვირიშელი გლეხუჭა მარულაში ჩარევას ნდომულობს". აქ სპორტული ინტერესი დაჩრდილულია ყოფილი ნაყმევის ადამიანური უფლებების მოთხოვნით... შემდეგ ეს „მარულა" დიდ კლასობრივ შეჯახებად გადაიქცევა. მიხა იმ თავითვე შემოკრებილი, მთლიანი და მტკიცე ნებისყოფის, სულითა და ძალ-ღონით ძლიერი ადამიანია, ისეთივე უბრალო, ისეთივე უშუალო, როგორც მისი მშობლიური მიდამოს ხე, მცენარე, მთა, მოჩუხჩუხე წყარო. იგი მწვავედ განიცდის სოციალურ უკულმართობას. მან კარგად იცის რომ ბატონებს შეუძლიანთ მზეც, წყალიც და ჰაერიც წაართვან მშრომელებს. ბუნებრივია, როცა ასეთი ხასიათის კაცმა დაჰგმო თავისი ქვისლის — თედორეს სულმოკლეობა, როდესაც ამ უკანასკნელმა ჯარისკაცობის თავიდან ასაცილებლად თითი მოიკვეთა. მაგრამ საოცარია, რომ როცა მიხა ჩხეტიანი არა თუ ერთი საპროტესტო სიტყვითაც არ ილაშქრებს იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ, არამედ თითქოს ხალისითაც მიდის ამ ომში და სხვებსაც ამხნევებს და აგულიანებს: „ისეთი გამდიდრებული აზრით ჩამოვალთ, რომ სოფელსაც სიკეთეს მოვუტანთ და ჩვენს თავსაცო". ეს უეჭველად ყალბი შტრიხია. ღარიბი გლეხობა და მით უმეტეს შედარებით გათვითცნობიერებული გლეხი იმპერიალისტური ომისადმი ასეთ დამოკიდებულებას არ იჩენდა. ის კი სწორია, როცა ავტორი გვიჩვენებს იმპერიალისტურ ომში ჯარისკაცად ყოფნის დროს მიხა ჩხეტიანის კლასობრივი შეგნების გაღრმავებას, ომიდან მას დაბრუნებას უკვე ჩამოყალიბებულ მებრძოლად. სამშობლოში დაბრუნებულ ჩხეტიანს თან მოაქვს **ლენინის** სანუკვარი აზრები და ბოლშევიკური ნებისყოფა. ეს ნებისყოფა მას მასების მეთაურად ხდის. ბოლშევიკურად განწყობილ დაბრუნებულ ჯარისკაცების ეშელონს თბილისის სადგურში არ უშვებენ, სურთ იარაღი აჰყარონ. მიხა აფხიზლებს ჯარისკაცთა ცნობიერებას, მას აკაკი ოჩიგავაც წაეშველება და დამხვდურთა წინააღმდეგობა ტყდება. აკაკი ოჩიგავას საშუალებით მიხა ბოლშევიკურ ორგანიზაციას უკავშირდება, საშა გეგეჭკორსაც ხვდება და მომწიფებული რევოლუციური აზრებით უბრუნდება იგი თავის კერას, თავის მშობლიურ სოფელს.

მიწის საკითხის გადაუჭრელობა სოფლად ის ნიადაგი იყო, სადაც ადვილად ღვივდებოდა რევოლუციური თესლი. ნიადაგი რევოლუციისათვის მზად იყო, მაგრამ რევოლუციურ აჯანყებას იარაღი ესაჭიროებოდა. აი ჩვენი ავტორიც გვიჩვენებს, როგორ ვითარდება ეს პროცესი, როგორ იარაღდება და იბრძვის მშრომელი გლეხობა.

მიხა აჯანყების მტკიცე და მამაცი ხელმძღვანელია. რევოლუციურ აღტყინებასთან ერთად მას საკმაო სამხედრო ნიჭიც ახასიათებს. მოხერხებული სამხედრო მანევრით ერთხელ მტერს ხაფანგშიაც ამწყვდევს. ის თანამებრძოლთა საყვარელი წინამძღოლია. უთანასწორო ბრძოლაში აჯანყება მარცხდება. მაგრამ ბრძოლა დამთავრებული არ არის, მისთვის უცხოა სულით დაცემა: „აღთქმასავით ატარეთ გულში შეურიგებლობის აზრი და თქვენ განუწყვეტელი მებრძოლები იქნებით", — ეუბნება ის თავის რაზმელებს დამარცხების შემდეგ. მაშინაც კი, როდესაც ის ჯალათებს უვარდება ხელში და დასახვრეტად მიჰყავთ, მას არ ღალატობს რევოლუციური განწყობილება: ის თავის და თავის მსგავს ადამიანთა უკვდავებას მომავალ გამარჯვებაში ხედავს. მწერალი ამას ერთობ მკრთალი შტრიხით იძლევა.

თითქმის ამავე ძალით და ამავე მხატვრული ხერხებით აქვს მოცემული მწერალს მიხა ჩხეტიანის თანამებრძოლის აკაკი ოჩიგავას სახე. მხოლოდ, ჩვენის აზრით, მწერალი აკაკი ოჩიგავას ერთ ყალბ და შემცდარ ნაბიჯს ადგმევინებს. როცა აკაკი მიხას დაპატიმრებას გაიგებს, თავათაც თავის ნებით მიდის და ხელში ეძლევა ჯალათებს. ბოლშევიკისათვის ეს წყალ-წყალა რომანტიული, არსებითად შემარიგებელი ნაბიჯი არაფრით არ არის გამართლებული. მართალია, რევოლუციური მებრძოლი მზად უნდა იყოს მამაცურად შესწიროს სიცოცხლე რევოლუციის საქმეს, თანამებრძოლთა დახსნას, მაგრამ ამავე ძალით ის მოვალეა შემოინახოს სიცოცხლე რევოლუციური იდეალებისათვის. აკაკი ოჩიგავას მიერ ნებაყოფლობით დასახვრეტად წასვლას არავითარი აზრი არა აქვს.

რომანის ამბები მწერალს მოხერხებულად გადააქვს ბავშვთა საზოგადოებაში. ფაქიზად და სიყვარულით აქვს მწერალს გადმოცემული ნორჩი თაობის გულის სიმთა ჟღერა, საზოგადოებრივი ცხოვრების გარკვეული მოვლენების შეხებით გამოწვეული. ბავშვთა პერსონაჟები თითქოს რომანის მთავარ გმირთა ორეულები არიან. თუმცა ზურა მეტად გაბრძენებულია იმ თავითვე. რატომღაც მწერალმა ამ ბავშვს ნამდვილი ბავშვობა არ აცალა. რვა წლის ბავშვს წყაროს ჩხრიალში ესმის „უსასრულო სიტყვა „სიცოცხლე", ყურს უგდებს ბუნების საიდუმლო ენას, ესმის „გონიერი წყალის" მისტიური წინასწარმეტყველება. ეს ბავშვი რომანის ყველა საფეხურზე ერთნაირად არის ბავშვი და მომწიფებულიც.

ქალთა სახეების გამოკვეთას მწერალი თითქოს გაურბის. მიხა ჩხეტიანის მეუღლე ბაბილო თითქოს უფრო კლდეზე გადაჩეხვის დრამატიული კვანძისათვის არის შეტანილი ნაწარმოებში და არა გლეხის ქალის თავისთავად სახედ.

თინა გოლეთიანიც მხოლოდ სილუეტია ახალგაზრდა შეყვარებული ქალისა. ლამაზ, რომანტიულ იერს აძლევს თინას მწერალი, როცა მას სამკურნალო ბალახებს აკრეფინებს მიჯნურისა და რაზმელებისათვის. ასევე მოლანდებასავითაა ავთანდილისებურ საქმროზე მეოცნებე თავადის ქალის პაწიას სახე. ამ სახის მოკლე განვითარებაში მწერალს მართლად აქვს ნაჩვენები, თუ როგორ ჰქრება მეოცნებე ქალის რომანტიული იდეალი მაღალი წრის უხეში კლასობრივი ნივთიერი ანგარიშით. პაწიამ ავთანდილი ვერ იპოვა, სამაგიეროდ აზნაურობის ბაღდადელ მაძიებელს — გაფხეკილ ფურცელაძეს გაჰყვა ცოლად, რომ მამის მიწა-წყალი შეენარჩუნებინა.

ამრიგად, მწერალს მართლად აქვს მოხაზული მაშინდელი საზოგადოებრივი ფენების ძირითადი ხასიათები და მათი ნიშანდობლივი თვისებები.

რომანში საკმაოდ მხატვრულად და ცოცხლად არის შესრულებული რევოლუციური აჯანყებისა და ბრძოლის სურათები. თუმცა სურათებს უეჭველად დაჰკრავს მხატვრული სიტყვის დიდი ოსტატების ერთგვარი გავლენა.

აჯანყების ხასიათის ერთ მხარეს, ჩვენი აზრით, ავტორი სწორად ვერ გადმოგვცემს. ყოველი ბოლშევიკური აჯანყება არსებითად შეტევითი ხასიათისაა. ელ. პოლუმორდვინოვის რომანის მიხედვით კი აჯანყებულები თითქოს მთების ვიწრო რკალით არიან შემოზღუდულნი, თითქოს სრულებით არ ცდილობენ ისინი ამ რევოლუციური აჯანყების გაშლასა და განვრცობას. არა სჩანს არც მტრის ბანაკის დაზვერვის, არც რევოლუციურ მოძრაობასთან საქართველოს სხვა კუთხეების კავშირის დამყარების ცდა, თითქოს მინდობიან მოვლენათა ბრმა განვითარებას და ელოდებიან მტრის თავდასხმას. რომანში მოვლენათა განვითარებაზე ბრმა დანდობა იქამდეც კი მიდის, რომ რაზმელები ქორწილსაც მართავენ. თავისთავად ქორწილის სურათი ცოცხლად არის დახატული, მაგრამ ყველაფერს თავისი დრო და თავისი ადგილი აქვს. აჯანყების შეტევითი ხასიათის მხატვრული ჩვენება უეჭველად აამაღლებდა რომანის ღირსებას.

საკმაო შინაგანი სარკაზმით და ცოცხლად აქვს ნაჩვენები მწერალს გამედიდურებული, ფუსფუსა და უნიათო მენშევიკური გუბერნატორის სახეც.

ვიმეორებთ, ე. პოლუმორდვინოვმა ამ რომანით ერთგვარი გამარჯვება მოიპოვა. მაგრამ ეს როდი ნიშნავს მის ყოველმხრივს გამარჯვებას. ასეთ ნაწარმოებს ძალა პირველყოვლისა მაშინ აქვს, როცა იგი ნამდვილად მხატვრულია, სახეობრივია. მხატვრული სიტყვა გულისხმობს განცდების, ვნებების, ხასიათებისა და მოვლენების ხატვას, დასურათებას და არა აღწერას, არა მშრალ დახასიათებას. ერთია ამბის მოყოლა, მეორეა ამბის მხატვრულად ჩვენება, იდეის კონკრეტულ სახეებში გახსნა.

ე. პოლუმორდვინოვის რომანი ვერ არის თავისუფალი მოყოლის, აღწერის და მშრალი დახასიათების ელემენტებისაგან. ეს კი უეჭველად ვნებს მის მხატვრულ ღირსებას.

გარდა ამისა, შესაფერი სიტუაციებისა და მოვლენათა ნიშანდობლივობის გამოსახატავად მოსწრებული, გონებამახვილი ფრაზები, აფორისტული თქმები, ფრთიანი სიტყვები ნაწარმოების მხატვრული არქიტექტონიკის ელემენტებს წარმოადგენენ. ისინი შნოსა და ლაზათს აძლევენ მხატვრულ ნაწარმოებს. შეხვდებით სქელტანიან მოთხრობებსა და რომანებს, სადაც მთელ სივრცეზე ერთს „გულის გასაგმირ" სიტყვას ვერ წააწყდებით. ამ მხრივ რომანი „განთიადის წინ" გამონაკლისს წარმოადგენს.

მხატვრული ნაწარმოების, განსაკუთრებით მხატვრული პროზის კომპოზიციური სტრუქტურა მიზნად უნდა ისახავდეს მაქსიმალურ მხატვრულ ეფექტიანობას. ამისათვის ფონი, პერსპექტივა, ძირითადი და მიმყოლი სახეები, მოვლენები და მათი კავშირი მოითხოვს გარკვეული მხატვრული განზომილებებით განლაგებას. ე. პოლუმორდვინოვის რომანის ზოგიერთი თავი თუ ეპიზოდი, მიუხედავად მათი თავისთავადი მხატვრული ღირსებისა, შემთხვევითი ჩანამატებების ხასიათს ატარებს. ეს რომანის ერთგვარი კომპოზიციური სისუსტეა.

შემდეგ წიგნში უნდა ველოდეთ, რომ მწერალი ამ მხრივაც გამარჯვებული გამოვა.

## მხატვარი ი. გვანცელაძე

პარტიამ და ხელისუფლებამ განსაკუთრებული პირობები შეუქმნეს ხელოვნების ყველა დარგის, კერძოდ სახვითი ხელოვნების განვითარებას. საყოველთაოდ ცნობილია ის დიდი მიღწევები, რომლებიც ამ უკანასკნელ წლებში ქართულმა საბჭოთა სახვითმა ხელოვნებამ მოიპოვა. წამოიზარდა და მომწიფდა მთელი თაობა ქართველი ახალგაზრდა მხატვრებისა, რომლებიც თავის ფუნჯისა და ფერადების თავისებურებით მკაცრ მხატვრულ მოთხოვნებს აკმაყოფილებენ. ასე არ იყო რევოლუციამდე. სახვითი ხელოვნება, რომელიც თავისი წინსვლისათვის საგანგებო სპეციფიურ პირობებსა, იარაღსა და მასალას საჭიროებს, ადვილად ვერ ახერხებდა წინად თავის გამოვლინებას. ფიროსმანიშვილის დიდი ნიჭი იყო საჭირო, რომ ცარიზმისა და მენშევიკების წყეულ დროს მას, უბრალო მღებავს, ტილოზე აემეტყველებინა ქართული ლამაზი ბუნება და მისი მრავალფეროვანი ტიპაჟი.

დღეს აღარ არსებობენ სახვითი ხელოვნების შემაფერხებელი პირობები. დღეს ყოველი ნიჭიერი მხატვრისთვის განსაკუთრებით ზრუნავს მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობა.

ხალხიდან გამოსულ იმ მხატვართა რიცხვს, რომლებმაც თავი დააღწიეს პრიმიტიულობას და კვალიფიციური მხატვრის ოსტატობას დაეუფლნენ, ეკუთვნის მუშა მხატვარი ი. გვანცელაძე. თავისი უკანასკნელი ნახატებით იგი გამოეყო სხვა ხალხოსან მხატვრებს და გაუმიზნავი დეკორატიული სახეებიდან გადავიდა მხატვრობის სერიოზული პრობლემების გადაჭრაზე. მის სურათებში განმტკიცდა პოეტური სულიერი განწყობილება. ი. გვანცელაძე, იცავს რა საერთო ტონს, ზოგჯერ საკვირველებას ქმნის დეტალებში მრავალ ფეროვანი მოზაიკის, სპექტრის მსგავსი ფაქტურით.

პირადად მე გულწრფელად ვაღიარებ, რომ ი. გვანცელაძის შემოქმედებამ ბევრი რამ მასწავლა. მის ნახატებში, ზოგჯერ პრიმიტიულად შესრულებულშიც კი, დავინახე ჩვენი ბუნების უშუალო ღრმა განცდა. ურმულის მსგავსი მოტივებია მის სურათებში. მისი ბატკნები მოგვაგონებენ ვაჟა-ფშაველას „შვლის ნუკრის ნაამბობის“ პერსონაჟებს, მისი მთები — რაფიელ ერისთავის „სამშობლო ხევსურის“ თოვლიან-ყინულიან მთებს. საერთოდ ი. გვანცელაძე თამამად შეიძლება ჩაითვალოს ინტიმური პეიზაჟის ღრმა პოეტ-მხატვრად. შესანიშნავია მისი სურათი მთის პეიზაჟი ცხვრის ფარითა და მწყემსით.

მხატვართა კავშირის მოვალეობაა, გამოიყვანოს ეს დიდად ნიჭიერი მხატვარი უფრო ფართო სამოქმედო ასპარეზზე.

პროფ. მოსე თოიძე.

# საზღვარგარეთ

## ლონდონის თეატრალური ცხოვრება

ამერიკის თეატრალურ ჟურნალში „ტიეტრ არტს“-ში მოთავსებულია წერილი ლონდონის თეატრალური ცხოვრების შესახებ. წერილში აღნიშნულია, რომ „იმ დღეებში, როცა ლონდონის მცხოვრებთ საჰაერო ბომბარდირება მიაჩნდათ რაღაც საშინელებად, რომლისაც უნდა ეშინოდეს ადამიანს და რომელიც არასოდეს ლონდონში არ მოხდებაო, თეატრალურ პროგრამებზე დაბეჭდილი იყო შემდეგი გაფრთხილება: „განგაშის შემთხვევაში მაყურებელი სცენიდან მიიღებს სათანადო გაფრთხილებას, რომლის შემდეგაც მას შეუძლიან თავი შეაფაროს თეატრთან მოწყობილ თავშესაფარში ან დარჩეს თავის ადგილზე და უცადოს სპექტაკლის გათავებას“. თვეების განმავლობაში ეს გაფრთხილება მაყურებელს აჩვევდა იმ აზრს, რომ თეატრები იმუშავებენ ბომბარდირების დღეებშიაც. მაგრამ როცა ბომბარდირება ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა, თეატრებმა თითქმის ერთი ღამის განმავლობაში შესწყვიტეს არსებობა. მაყურებელი აღარ დადიოდა თეატრში.

მაგრამ რამდენიმე კინო-თეატრი მაინც ღიაა საღამომდე. მეტად მცირე შემოსავალი აქვთ მათ. ხალხი ამ თეატრებში უფრო იმიტომ დადის, რომ კინო-თეატრების შენობები მკვიდრია და შეიძლება კაცი დაენდოს მათ. საერთოდ ლონდონის მცხოვრებნი ახლა თეატრს კინოს ამჯობინებენ. კინოთეატრები შეეგუენ სამხედრო მდგომარეობას. ამან შექმნა დღიური სპექტაკლების მრავალნაირი მოდა. ამ თეატრებს ეძახიან „ლენჩის თეატრებს“ (ლენჩი მეორე საუზმის სახელწოდებაა). თეატრის ბილეთი ერთი შილინგი ღირს, თეატრში ჰყიდიან სანდვიჩებს და ყავას. ამ თეატრის პროგრამებში შედის საბალეტო ნომრებიც, ხან და ხან უჩვენებენ ნაწყვეტებსაც შექსპირის პიესებიდან, განსაკუთრებით „ყველაფერი კარგია, რაც კარგად თავდება“.

ლონდონის საუკეთესო თეატრების მსახიობები ამჟამად პროვინციების თეატრებში მუშაობენ.

წერილის დასასრულს მოცემულია რამდენიმე შენიშვნა ლონდონელთა ყოფაცხოვრების შესახებ: „რამდენიმე კვირის განმავლობაში ძირფესვიანად შეიცვალა ლონდონის მცხოვრებთა ყოფა-ცხოვრება. ისინი დილა ადრიან დგებიან. თუ ქალაქში გადიან, ცდილობენ მზის ჩასვლამდე დაბრუნდნენ თავიანთ ბინებში. ბინას კი არ სტოვებენ, სანამ მათ საჰაერო განგაში არ აიძულებთ მიაშურონ თავშესაფარებს. ახლა იქ გატაცებით უსმენენ რადიოს და კითხულობენ წიგნებს, უმთავრესად სათავგადასავლო რომანებს.

## აკადემიკოსები „მუშაობენ“

საფრანგეთის აკადემია, თითქოს არაფერი მომხდარიყოს მის ირგვლივ, ძველებურად განაგრძობს მუშაობას. აკადემიის წევრთა უმრავლესობა პარიზშია. ყოველი სახის პრემიას ისინი თავის დროზე არიგებენ. თუ გონკურების აკადემია ხანდახან მაინც პრემიის ღირსად ხდიდა ცოტად თუ ბევრად რიგიან ნაწარმოებს, საფრანგეთის აკადემიას ეს თითქმის არასოდეს არ ჩაუდენია. მისი არჩევანი ყოველთვის ყველაზე უფერულ და რეაქციულ წიგნებს ერგებოდა ხოლმე.

1940 წლის „დიდი ლიტერატურული პრემია“ მიეკუთვნა ედმონ პილონს, რომელმაც ისტორიული ანეკდოტები შეაგროვა. „რომანის პრემია“ მიანიჭეს საზღვაო მოთხრობების ავტორს, რომელმაც ამ უკანასკნელ ხანებში თავი ისახელა იმით, რომ თავის სტატიებში „ერთგულ ქვეშევრდომულ“ აზრებს გამოჰხატავდა. პრესა მარტო ოფიციალური მასალის გამოქვეყნებით დაკმაყოფილდა და თავს იკავებს კომენტარიებისაგან.

როგორც ფრანგული პრესა აღნიშნავს, საფრანგეთის აკადემია „აქტიურობას იჩენს“. აკადემიაში განთავისუფლდა ვაკანსია—სექტემბერში გარდაიცვალა ანრი ლავედანი და „უკვდავის“ ასარჩევად უკვე გაიშალა თავისებური კამპანია. რადგან პარიზში ახლა მიმოსვლის მთავარ საშუალებას მეტროპოლიტენი და ველოსიპედები შეადგენენ, ლავედანის სამაგიერო კანდიდატი, მოხუცი ბარონი სეიერი, ჩვევათა მეცნიერების არხირეაქციული აკადემიის მუდმივი მდივანი, როგორც ჭაბუკი, ველოსიპედით მოგზაურობს პარიზის ქუჩებში, იგი დადის აკადემიკოსებთან — თავის მომავალ ამომრჩევლებთან. როგორც სჩანს, იგი თავის კანდიდატურისათვის აგიტაციას აწარმოებს, იმავე დროს თავისი მაგალითით პროპაგანდას უწევს სპორტს, რომელმაც „უნდა გადაარჩინოს საფრანგეთიო“.

მეორე აკადემიკოსი, მწერალი აბელ ბონარი, რომელიც უკვე „საფრანგეთის ახალი სულის“ მქადაგებლად გადაიქცა ანტისემიტური სიტყვებით გამოდის

## მხატვარ კინტანილიას სურათების გამოფენა ნიუ-იორკში

ამერიკელ მხატვართა ასოციაციამ ნიუ-იორკში მოაწყო ცნობილი ესპანელი მხატვრის კინტანილიას სურათების გამოფენა. ამ მხატვარმა თავის სამშობლო რესპუბლიკური ესპანეთის დამარცხების შემდეგ მიატოვა და ახლა ამერიკის შეერთებულ შტატებში სცხოვრობს და მუშაობს.



შიმშილი.
ნახ. ლუის კინტანილიას.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო მხატვრის უკანასკნელი ნამუშევრები, რომლებსაც, ამერიკული კრიტიკის აზრით, პიკასოს დიდი გავლენა ატყვია. გამოფენის მხატვრულ პროსპექტში, რომელიც გამოცემულია ცნობილი ამერიკელი მწერლის ელიოტ პოლის შესავალი წერილით, მოთავსებულია მხატვრის თვალსაჩინო სურათების („შიმშილი“, „ჯარისკაცები“, „ნგრევა“, „გაქცევა“ და სხვა) რეპროდუქციები.

## ანტიური ქანდაკებები ზღვის ფსკერზე

ნეაპოლში ახალი ნავთსადგურის მშენებლობის დროს წყალმყვინთავებმა ბოღაზის ფსკერზე ათი ქანდაკება აღმოაჩინეს. ყველა ისინი ზღვის სქელ შლამს დაეფარა, მაგრამ კარგად იყვნენ შენახული. არქეოლოგების აზრით, ეს ქანდაკებები ანტიური ხელოვნების მეტად ძვირფასი ნაწარმოებებია.

# ბიბლიოგრაფია

## „მოკლე ფილოსოფიური ლექსიკონი“

„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოსვლამ და ამ მოკლე კურსის გამოსვლასთან დაკავშირებით საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ პარტიული პროპაგანდის შესახებ უდიდესი ინტერესი გამოიწვიეს მუშებში, კოლმეურნეებსა და ინტელიგენციაში ბოლშევიკური თეორიის შესწავლისადმი. საბჭოთა ინტელიგენციის ფართო წრეები დიდი ხალისით მუშაობენ მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის დაუფლებაზე. განსაკუთრებით დიდია მისწრაფება დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესწავლისადმი. „დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი შეადგენს კომუნიზმის თეორიულ საძირკველს, მარქსისტული პარტიის თეორიულ საფუძვლებს, ხოლო ამ საფუძვლების ცოდნა და, მაშასადამე, მათი შეთვისება წარმოადგენს ჩვენი პარტიის ყოველი აქტიური მოღვაწის მოვალეობას“ (საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“, გვ. 155).

„მოკლე ფილოსოფიური ლექსიკონი“, რომელიც გასულ წელს გამოსცა ქართულ ენაზე ჟურნალმა „ბოლშევიკმა“, მიზნად ისახავს — დახმარება გაუწიოს იმას, ვინც სწავლობს ბოლშევიკური პარტიის თეორიულ საფუძვლებს — მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიას.

როგორც წინასიტყვაობაშია აღნიშნული, „მოკლე ფილოსოფიური ლექსიკონი“ არ შეიცავს ფილოსოფიური ცნებებისა და ტერმინების სრულ, ამომწურავ ჩამოთვლას. მისი ამოცანა უფრო მარტივია: იგი განმარტავს ძირითად ფილოსოფიურ ცნებებს, რომლებიც ხშირად გვხვდებიან მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ნაწარმოებებში.

„მოკლე ფილოსოფიურ ლექსიკონში“ მოკლედ და მკაფიოდ განმარტებულია ის ცნებები, რომელთა აზრისა და შინაარსის ცოდნა აუცილებელია **მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის** გენიალური შრომების შესწავლისათვის. განმარტებებში მრავლად არის გამოყენებული მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ციტატები და ამონაწერები.

ლექსიკონში ვხვდებით ისეთი ცნებების განმარტებას, როგორიცაა „აბსოლუტური ჭეშმარიტება“, „აგნოსტიციზმი“, „ადამიანთა წარმოებითი ურთიერთობანი“, „ათეიზმი“, „ანალიზი და სინთეზი“, „აპრიორი“, „არსი და მოვლენა“, „ასახვის თეორია“, „ატომი“, „ბაზისი და ზედნაშენი“, „დაპირისპირებათა ერთიანობა და ბრძოლა“, „დიალექტიკა“, „დეტერმინიზმი და ინდეტერმინიზმი“, „დუალიზმი“, „დიალექტიკური მატერიალიზმი“, „ევოლუცია და რევოლუცია“, „ემპირიზმი“, „თეზისი, ანტითეზისი და სინთეზი“, „იდეალიზმი“, „იდეოლოგია“, „ისტორიული მატერიალიზმი“, „მატერიალიზმი“, „მარქსისტული დიალექტიკური მატერიალიზმი“, „სოლიპსიზმი“, „ჰუმანიზმი“ და სხვ.

ლექსიკონში მოკლედ არის დახასიათებული ზოგიერთი ფილოსოფოსიც (ავენარიუსი, არისტოტელე, ბერკლი, დიდრო, კანტი, ფეიერბახი, ჰეგელი, ჰელვეციუსი, ჰერაკლიტე, ჰოლბახი და სხვ.).

ეს ზოგადი ჩამოთვლაც ნათელჰყოფს, თუ რამდენად მდიდარ შინაარსს შეიცავს ლექსიკონი. მას მართლაც შეუძლიან დიდი სამსახურის გაწევა ყველა იმისათვის, ვინც მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიას სწავლობს.

„მოკლე ფილოსოფიური ლექსიკონი“ რუსულ ენაზე გამოვიდა მ. როზენტალისა და პ. იუდინის რედაქციით. ქართული თარგმანის რედაქტორები არიან ი. თავაძე და ა. ქუთელია. ქართული თარგმანი კარგად არის შესრულებული.

ლექსიკონის ქართული გამოცემის ტირაჟი (10.000) შედარებით მცირეა. წიგნი აღარ იშოვება ბაზარზე. საჭიროა მისი განმეორებითი გამოცემა ახალი დამატებებით და შესწორებებით, რაც შეტანილია ამ წიგნის მეორე რუსულ გამოცემაში.

მკითხველი

## „ქორწილი კოლხიდაში“

პოეტი ალიო ადამია ჩვენი ქვეყნის აღორძინებისა და აყვავების ისტორიულ თარიღს — საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ოცი წლისთავს თვალსაჩინო ზრდითა და გამარჯვებით შეხვდა. მის პოეტურ შემოქმედებაში ასეთი ზრდის მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს პოემა „ქორწილი კოლხიდაში“. პოეტის აქამდე დაწერილ ნაწარმოებებთან შედარებით ეს პოემა ფართო ტილოა და მასში საგნები და მოვლენები ცოცხლად და ნათელი სახეებით არიან გადმოცემული. იგრძნობა შემოქმედების მდიდარი და უხვი აღმაფრენა და შინაგანი პოეტური ცეცხლი.

პოემის თემად აღებულია დიდი საბჭოთა მშენებლობის ერთი უმნიშვნელოვანესი უბანი — ჭაობიანი კოლხიდის ამოშრობა და მისი დასახლება. პოემა ოთხი ნაწილისაგან შესდგება და მისი კომპოზიციური შენება ოთხივე ნაწილში ბუნებრივი გზით ვითარდება. პოემა იხსნება მეგრელი ხალხის წინანდელი უმწეო და საშინელი ცხოვრების სურათებით. გაუვალი ჭაობი, კოღოები, სიკვდილი ჰქმნის ხალხის დაბეჩავების და სისაწყლის პირობებს. ტრაგიკულ მდგომარეობაში მოქცეული მთელი ოჯახები და გვარები ცადაშენების გზას ადგანან. გადაშენებაამოწყვეტისაგან თავის დაღწევის ერთად-ერთი საშუალება სახლკარის დატოვება და ამ ადგილებიდან გადასახლებაა. გაუბედურებული და გაჩანაგებული ხალხი გარბის, მაგრამ ჭაობი ჭაობად რჩება. ქვრივ ასინეთის ოჯახი, რომელსაც ერთი ქალიშვილის მეტი არავინ დარჩენია ამ ქვეყნად, უბედურების მუდმივი შიშით არის მოცული. გამწარებული დედა ყანაში მუშაობს, მარტო დარჩენილი პატარა ნინა კი შინ არის და დედას ელოდება. ხშირად დედა და შვილი ღამით კერას მოუჯდებიან და იგონებენ წარსულს, მწარე წარსულს. ასინეთი იგონებს თავის ქმარს ჯონდოს, რომელსაც ღამით მოყოლილმა უჟმურმა დილის ცისკრის ამოსვლამდე სული ამოხადა. თვალწინ უდგას მეზობლად მდებარე ერთი პატარა ოდა, სადაც ლოგინად ჩავარდნილი იყო ორი ბიჭი—ნინას ტოლი და ამხანაგი. ერთ მათგანს სიცოცხლე მოუსწრაფა ჭაობის საშინელებამ, — ოჯახი აყარა და სხვა ადგილას გადასახლდა. პოემის შემდეგ ნაწილებში მოცემულია ჩვენი ეპოქის დიადი წლები—კოლხიდის მშენებლობა და ამ ფონზე ბედნიერი და საამური ცხოვრება. სამეგრელოს თვალწარმტაცი და მომჯადოებელი ბუნების გარემოცვაში ნაჩვენებია ხალხის უსაზღვრო სიხარული, მისი ყოველდღიური ხალისიანი შრომა, რომელიც ავტორს მართებულად და მოხდენილად აქვს დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის სასიქადულო შვილის, დიდი **სტალინის** საუკეთესო მოწაფისა და თანამებრძოლის ამხანაგ **ლავრენტი ბერიას** სახელთან. მას უმღერის და ადიდებს ხალხი.

პოემა აგებულია სადა, ეპიურ თხრობასა და ნაირ ლექსთა წყობაზე, რაც შეჰფერის და უხდება მის აღნაგობას. მხატვრულ ეფექტიანობას ანელებს ზოგიერთ სიტყვის ხშირი განმეორება ყოველ სტრიქონში:

„მამა? არ ახსოვს ეს მხოლოდ დედამ
უთხრა და ახსოვს“.

ანდა:

„ღლავი ქვირითს აღარ სდებდა.
სჯამდა სხვებს ქვირითს“.

ცოტა ქვემოთ:

„მაგრამ ღლავი იმარჯვებდა,
ის ვეება ღლავი“.

ეს ტავტოლოგია არღვევს ლექსის მუსიკალურ რიტმსაც და არც მხატვრულია.

„შვიდი წყარო“, „შვიდი შვინდი“ ხშირ-ხშირად და მომაბეზრებლად არის განმეორებული მე-37 გვერდზე.

სხვა ადგილას პოეტი ჯერ ახალწულიწადს ათენებს და შემდეგ დეკემბრის ღამის ჩამოწოლაზე ლაპარაკობს. სამი წამსვლელის და სამი მგზავრის ამბავიც მხატვრულად გაუმართლებელი სიტყვების გროვას წარმოადგენს.

მიუხედავად ამ ნაკლისა, ეს ნაწარმოები პოეტის მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

„ქორწილი კოლხიდაში“ გამოცემულია სახელგამის მიერ.

გ. მეგუკე

## ლერმონტოვის ორი პიესა

ხელოვნების სამმართველოს სანახაობისა და რეპერტუარის კონტროლის განყოფილებამ საქართველოს თეატრებში დასადგმელად მიიღო ლერმონტოვის ორი პიესა: „ორი ძმა“ (თარგმანი შ. ალხაზიშვილისა) და „პეჩორინი“, „ჩვენი დროის გმირის“ მიხედვით გადაკეთებული კ. იმონენის მიერ (თარგმანი თ. გურულისა).

## მხატვრული აღზრდისა და ტექნიკური პროპაგანდის სახლში

ლ. მ. კაგანოვიჩის სახელობის მხატვრული აღზრდისა და ტექნიკური პროპაგანდის სახლი (თბილისი) შეუდგა მზადებას მ. ი. ლერმონტოვის საიუბილეო ზეიმების ჩასატარებლად.

მხატვრული აღზრდის სახლი კონსულტაციას უწევს და ხელმძღვანელობს სკოლების ლიტერატურულ წრეებს ლერმონტოვის გარშემო არსებული ლიტერატურის შესწავლისა და საზეიმო საღამოების მზადების საქმეში. მიმდინარე სასწავლო წლის დამთავრებისას ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის საბავშვო რკინიგზის ესტრადაზე გაიმართება დიდი საზეიმო საღამო, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ სასკოლო ლიტერატურული წრეების წევრები. საღამო გაიმართება თეატრალიზებული მოხსენების სახით.

# დრამატურგ ზურაბ ანტონოვის პორტრეტისათვის

სერ. გერსამია

გიორგი ერისთავის დროინდელი დრამატურგის ზ. ანტონოვის პორტრეტი დღემდე დაკარგულად ითვლებოდა. მის ძებნას კი ჩვენი მწერალ-მოღვაწენი კარგა ხნის წინად შეუდგნენ. დაახლოებით 1912 წელს საკითხი პირველად გ. თუმანოვმა აღძრა. მან გადასწყვიტა თავისი წიგნაკების „Характеристики и воспоминания“-ს მეორედ გამოცემა და პირველ წიგნში, სადაც მოთავსებულია წერილი ზ. ანტონოვზე, სურათიც უნდოდა გამოექვეყნებინა. შეუდგა სურათის ძებნას, შემდეგ გაზეთებში განცხადებაც კი მოათავსა, რომ ეძებს ანტონოვის სურათს, მაგრამ, გარდა ჟურნ. „თეატრი და ცხოვრების“ რედაქტორის ი. იმედაშვილისა, არავინ გამოეხმაურა. მან თუმანოვს აცნობა: დაახლოებით 1910 წელს გორის თეატრის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა და დრამატურგმა ალ. თუთაევმა მოიტანა რედაქციაში ზ. ანტონოვის ფერწერილი პორტრეტი, მინდოდა გამომექვეყნებინა, ამიტომ ვთხოვე ალ. თუთაევს, ფოტოგრაფიულად გადაეღო და ფოტო-სურათი მოეტანა. მან პორტრეტი წაიღო. ამის შემდეგ მე დამაპატიმრეს, თუთაევი კი გარდაიცვალა და სად დაიკარგა პორტრეტი არ ვიცით. ეს იყო და ეს. ზ. ანტონოვის სურათი აღარ აღმოჩნდა (იხ. ამის შესახებ გ. თუმანოვის „Характеристики и воспоминания“ წიგნი პირველი, გვ. 172-173).

მიმდინარე წელს გ. ერისთავის თეატრის გამოფენის მოწყობასთან დაკავშირებით სახელმწიფო სათეატრო მუზეუმმა მხატვარ გ. ზაზიაშვილს მიანდო ზურ. ანტონოვის პორტრეტის დახატვა იმ მასალის მიხედვით, რომელიც მუზეუმის განკარგულებაშია და რომელიც იძლევა ცნობებს ანტონოვის გარეგნობის შესახებ. მხატვარმა გ. ზაზიაშვილმა მუშაობის პროცესში გამოარკვია, რომ ზურაბ ანტონოვის ძმისწული — გიორგი გრიგოლის-ძე ანტონოვი ამჟამად ცოცხალია და ცხოვრობს თბილისში. მხატვარმა იგი მოსძებნა და სთხოვა, თუ მოეპოვება, მიაწოდოს ცნობები დრამატურგის გარეგნობის შესახებ. გ. ანტონოვმა გადასცა მას ორი ფოტო-სურათი, ზომით 6X9. სურათზე ერთი პირი დახატულია სამხედრო ფორმაში, ხოლო მეორე — ევროპულ სამოქალაქო ტანისამოსში. და უთხრა: ეს სამხედრო პირი მამაჩემია გრიგოლ ანტონოვი, ხოლო მეორე — ბიძაჩემი, გრიგოლის უფროსი ძმა, დრამატურგი ზურაბ ნაზარის-ძე ანტონოვი. მხატვარმა ზაზიაშვილმა ორივე სურათი წარმოადგინა სათეატრო მუზეუმში და ჩვენც შევუდექით მათს შემოწმებას.



ჩამოვართვით წერილობითი ცნობა გიორგი გრიგოლის-ძე ანტონოვს და მხატვ. ზაზიაშვილის ცნობა დადასტურდა; სამხედრო პირის სურათი არის თვით ამ გიორგის მამის გრიგოლისა. ეს გრიგოლი უმცროსი ძმა იყო ზურაბის, მან დასწერა პირველი ბიოგრაფია ჩვენი დრამატურგისა 1876 წლის 16 იანვრის თარიღით, რაც დართული აქვს იმავე 1876 წელს გამოცემულ ანტონოვის თხზულებებს. რაც შეეხება მეორე სურათს, ამის შესახებ თვით სურათს მეორე გვერდზე გ. ანტონოვმა შემდეგი დააწერა: „ამით ვადასტურებ, რომ მამაჩემის გრიგოლ ნაზარის-ძე ანტონოვის გადმოცემით ეს პორტრეტი არის მისი უფროსი ძმის დრამატურგის ზურაბ ნაზარის-ძე ანტონოვისა“.

შემდეგ ეს ფოტო-სურათი ვუჩვენეთ ჟურ. „თეატრი და ცხოვრების“ ყოფილ რედაქტორს ი. იმედაშვილს და ვთხოვეთ გამოეთქვა თავისი აზრი.

ჩვენ მიერ ნაჩვენები სურათის შესახებ ი. იმედაშვილი ასკვნის: „სურათი, რომელიც საქართველოს სათეატრო მუზეუმის მეცნიერმა მუშაკმა სერ. გერსამიამ წარმოადგინა ერთის შეხედვით ჰგავს იმ სურათს, რომელიც მე ალალომ მიჩვენა. უმთავრესად ულვაშების კიდურებს და თმის ზედა მხარეს თუ ხელს დავაფარებთ და ევროპიულ ტანისამოსს არ მივიღებთ მხედველობაში (რადგან მე ქართული კაბით მახსოვს), შესაძლოა ზურაბი სხვა ტანისამოსსაც იცვამდა, ჩემის აზრით წარმოდგენილი ეს სურათი შეიძლება ზურაბ ანტონოვის სურათად მივიჩნიოთ“.

ი. იმედაშვილის მიერ ნანახ ფერწერილი სურათით აღნუსხული ნიშნები —დიდი ყური, „აბორცვილი ლოყები“, ქვედა ტუჩი დიდი, „შედარებით მოკლე წარბები (თითქოს წარბის ბოლო შეტრუსიაო)“—რომ შევადაროთ გ. ანტონოვის მიერ გადმოცემულ სურათს, აქაც შევამჩნევთ ამავე ნიშნებს, თვალის გადავლების დროსაც-კი, ორივე სურათს დასახელებულ ნიშნების იგივეობა ახასიათებს.

სადაა „ჩამოწეული ულვაშები“ და „მოქალაქის კაბა“. შეიძლება ანტონოვი, როგორც ი. იმედაშვილიც შენიშნავს, ქართულ კაბას ოდესმე მართლაც ატარებდა, ისიც შეიძლება, რომ იგი ერთ დროს ულვაშებს ქვევით იწევდა და შემდეგ კი ზევით აიწია. ეს ყველაფერი გემოვნების საკითხია.

მაგრამ შესაძლებელია მეორე ამბავიც. ანტონოვი ივ. კერესელიძის ცნობით (გაზ. „ივერია“, 1893 წლ. 24 იანვრის ნომერი) გახუნებული პალტოთი დადიოდა, ე. ი. ტანისამოსის ფორმის მიხედვით რომ ვთქვათ, ევროპიულ ტანისამოსს ატარებდა. თუ ამ ცნობას დავუჯერებთ, მაშინ ისმის საკითხი, საიდან გაუჩნდა ქართული კაბა? აი აქ იბადება მეორე შესაძლებლობა: როგორც ვიცით, ზ. ანტონოვი სცენაზე თამაშობდა. სხვათა შორის, ასრულებდა ვაჭრის როლსაც (ივ. კერესელიძის თქმით, გ. ერისთავმა მას საცდელად მისცა პირველად სომხის როლი „გაყრაში“. — „ივერია“, იქვე). ასეთ როლებში ხომ კაბაა საჭირო. მეორეც, სად მაშინდელი სოვდაგარი და სად აპრეხილი ულვაშები? და, ჩვენის აზრით, ფერწერილ სურათში ზ. ანტონოვი დახატულია ერთ-ერთ როლში, რომელსაც იგი ანსახიერებდა. ხოლო ფოტო-სურათი და ფერწერილი სურათის მიხედვით მოცემული სახის ნიშნები თუ ერთმანეთს ემთხვევა, ამის მიზეზი ის არის, რომ იმ ხანად საგრიმო ხელოვნება განვითარებული არ იყო, მაშინდელი მსახიობები ტიპიურ სახეებს ძალიან პრიმიტიულ საშუალებებით იკეთებდნენ და ზ. ანტონოვმაც მის მიერ განსახიერებული პერსონაჟის ტიპის მოსაცემად, სხვათა შორის ულვაშებიც ქვევით ჩამოიწია, და თმაც გადაივარცხნა და ეგებ „ოდნავაც გაიყო“, ე. ი. ტანისამოსი და სახის მეტყველება შეუფარდა მომქმედ პირს. მხატვარმაც ჩვენი დრამატურგი ასე გამოწყობილი დახატა. ვიმეორებთ ჩვენ ეს შეხედულება უფრო სწორად მიგვაჩნია.

ერთი ნიშანიც. ეს სამხედრო ფორმაში გამოწყობილი პირის და ევროპიულად ჩაცმულის სურათები ისე გვანან ერთმანეთს, რომ მათ შორის ახლო ნათესაობაა და უნებლიედ გაიფიქრებს — „უეჭველად ძმები არიანო“. დიახ, ძმები არიან. მაგრამ გრიგოლ ანტონოვის რომელი ძმაა „შტატსკში“ ჩაცმული ფოტოგრაფიულად გადაღებული პირი? გრიგოლ ანტონოვს, არსებული მასალის მიხედვით, მხოლოდ ერთად-ერთი ძმა ჰყავდა. ეს იყო უფროსი ძმა ზურაბი და ფოტო-სურათშიაც ეს ზურაბია დახატული.

ამრიგად, ნაპოვნი ფოტო-სურათი არავითარ ეჭვს არ იწვევს და, მაშასადამე, დრამატურგის ზ. ანტონოვის პორტრეტი უკვე გვაქვს.

აქვე ერთი დამატებაც. გ. ანტონოვთან დაცული ფოტო-სურათი გადაღებულია დაახლოებით 80-იან წლებში. რა თქმა უნდა, ის ორიგინალი არ არის. ზ. ანტონოვის დროს იცოდნენ მხოლოდ დაგეროტიპით გადაღება. ზურაბსაც, სჩანს, დაუტოვებია დაგეროტიპით გადაღებული სურათი, ხოლო აქედან შემდეგში მისმა ძმამ ფოტოგრაფიულად გადააღებინა. ჩვენ ვფიქრობთ, გრიგოლისა და მისი ძმის ზურაბის პორტრეტი ერთსა და იმავე დროს უნდა იყოს გაკეთებული. ამის საბუთს შემდეგი ნიშნები იძლევიან: ა) ორივე ფოტო-სურათი ერთი და იგივე ზომისაა—6X9; ბ) ორივე ერთსა და იმავე ფოტოგრაფიაშია გადაღებული; გ) თვით სურათები ფერით ერთნაირია და დ) ორივე ერთნაირს ქაღალდზეა გადაღებული.

მასალა დაცულია საქართველოს სათეატრო მუზეუმის არქივში.


სარედაქციო კოლეგია:
ი. აბაშიძე, შ. დადიანი, ს. ეული, გ. ლეონიძე, გ. ნატროშვილი, შ. რადიანი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვ. წულუკიძე.

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 13, (მწერალთა სახახლე) ტელეფონი 3—47—10.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 18172